

ნამდვილი

საერთაშორისო
შინაგანათლებლობა

140/2
2002

8





ქსნის ძველ რიხეზე გუგუნებს ქარი,

ანა კალანდაძე

ქსნის ძველ რიხეზე გუგუნებს ქარი,

მისთვის ღიაა ყოველი კარი,

ყველა სარკმელი მისთვის ღიაა:

- მე გავხსნი ქართველის სულ

ძველ იარაღს...

ხედავ, ზიძინა და ელიზბარი,

რომ მიჰყვებიან სოფლის ძველ შარას?

- შაღვა სად არის?

- იქ არის შაღვარ..

მარჯვე მხედარი და მეომარი...

- მერე... საითკენ მიდიან ახლა?

- სულ სხვა ზრახვა აქვთ მათ,

სულ სხვა ზრახვა...

გულში ფარულად ლესავენ მახვილს...

გესმის, თათარი ზაფონობს კახეთს... -

ქსნის ძველ რიხეზე... ჩურჩულებს ქარი:

- მოკლეს ზიძინა და ელიზბარი..

- შაღვარ?

- ჰო, შაღვარ და ქართველები

მათ იკორთაში მიასვენებენ..

- ნათელი იყოს მათი ხსენება

ანი და მარად, ანი და მარად!.. -

ქსნის ძველ რიხეზე გუგუნებს ქარი,

გუგუნებს ქარი...

ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2002 წ. №5

ნომრის შინაარსი

„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“	2
ჩვენ იუბილარები ვართ	3
თორნიკე, ცოტნე და ოლიმპიური თამაშები	6
ადამ გლობოუსი. წყალი კაფელის კვადრატზე (მოთხრობა)	7
„ოდოშხერი“	10
მე და ჩემი უფლებები	11
საკვირაო სკოლა, სახელად „ცისარტყელა“	12
პლანეტის უმდიდრესი ადამიანი	13
რასაც მხოლოდ დღიურს გაანდობდი	14
საუკუნის ფერია (იცნობდეთ!)	15
ვაჯამებთ კონკურსს	16
მსოფლიო კიდით კიდემდე	18
სიყვარულის ასაკი	19
ჩვენი ხვალისდელი მკითხველები	21
გახდით ჩვენი თანაავტორები (ლიტერატურული კონკურსი)	22
როგორ გავხდეთ პოლიგლოტი	23
ჩემი კალიები (ბუნების კარი)	27
მოხდენილი, ნარნარი (სილამაზის გაკვეთილები)	28
ჯადოსნური სარკე	30
ტესტი	31

რედაქციური მანანა ბალაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი კოსტავას ძ. 14
ტელეფონები: 93-31-81 93-18-84.
ინდექსი: 76157.
ფასი სახელმწიფოებრივად

რეგისტრირებულია მთავრობის რაიონის სასამართლოში

შანიანი



ქართული
ლიბრეოთეკა


თვის სახელი - მაისი ჩვენში ნტიიდან გაერცვლა, მანამდე მეშვიდე საუკუნიდან მოყოლებული მას ვარდობის თვეს უწოდებდნენ. თვის სახელწოდების წარმომავლობის შესახებ ორი აზრი არსებობს. ერთნი ფიქრობენ, თითქოს ეს სახელი მას რომის პირველმა მეფემ რომელმაც დაარქვა სენატის უხუცესთა პატივსაცემად („მაიფ“ ლათინურად დიდს, უმაღლესს ნიშნავს), ეს თვე მოხუცებისა ყოფილა და ამიტომაც მაისში ქორწილები არ იმართებოდა. მეორე მოსაზრების თანახმად, გაზაფხულის შესამე თვის სახელი ბერძნული ბუნების მფარველი ღმერთის მაიას სახელიდან მომდინარეობს. მაია გოლიათი ატლანტის შვილი ყოფილა, რომელსაც მხრებით ეჭირა ზესუნელი. მაიას შვილი ჰერმესი ნაყოფიერების, მოგზაურებისა და ვაჭრების ღმერთი იყო. ბერძნები მაისს ყვავილებისა და სიყვარულის თვედ თვლიდნენ. შუა საუკუნეებში მრავალ ქვეყანაში მაისში დიდი სასწრაფო-სამეურნეო დღესასწაულები იმართებოდა.

მაისში მთავრდება გაზაფხული, დღეც მატულობს და ტემპერატურაც განუხრელად იზრდება.

„ძველად მაისს ტყუილად კი არ ჰქონდა ვარდის სახელი... მაისში იწყება ვარდის ყვავილობა და სათავეში მოექცევა იასამანსა და უცვეთელას, მთის შროშანს და სუმბულს, ტიტას და ზამბასს, წყალიერეფიასა და მაჩიტას და ათას სხვას. მაისში უკვე კარგად ინასკვება ვაშლისა და მსხლის ნაყოფიც. ადრეულა ბალიც შეთვალდება და დამწიფდება. ბაღის მარწყვიც ხომ ამ დროს წითლად ღუის... ტყეში ჟრიაბულია, ბუღბული კენესის, შაშვი ჭახჭახებს; მინდორში ტოროლა ცაში ავარდნილა და მზეს შეჰხარის... არის გაუთავებელი სტენა, ჟღურტული, ერთმანეთის ძებნა, კვერცხებზე ჯდომა, გამოჩეკვა, საზრდოს ძებნა. მინდორი და მდელო აჭრელებულია მრავალნაირი ყვავილებით.

მარტში და აპრილში დასათესი დაითესა, დასარგავის უმრავლესობა დაირგო, დასაჩორენი - დაიჩორენა. მაისი გულდასმით მოვლის თვეა. იწყება მარგვლა, თოხნა, კულტივაცია, მორწყვა, დამატებითი საკვების მიცემა... ბაღ-ვენახიც დიდ ყურადღებას მოითხოვს. მაისშივე იღებენ თივასაც, პირველ რიგში კი ნათეს ბალახებს. ქვემო ქართლში, ალაზნის ველზე და შირაქში მაისის ბოლოს იწყება ყანის მკაც - ასე ახასიათებს მაისს ნიკო კეცხოველი.

საქართველოს
ლიბრეოთეკა
ბიბლიოთეკა



ფაქტი

„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო



ავსაფეთში განახლება ქართულ ენაზე სწავლა

ახალი სასწავლო წლიდან აფხაზეთის რიგ სკოლებში განახლება ქართულ ენაზე სწავლა – ასე გადაწყდა საქართველოს განათლების მინისტრის ალექსანდრე კარტოზიას და აფხაზეთის განათლების მინისტრის ბესლან დბარის შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი დიტერ ბოდენი და ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის აღმასრულებელი მდივანი ზურაბ ლაკერბაიაც ესწრებოდნენ.

მოსკოვის მერია თბილისის №1 სკოლას შპაკითებს

1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში თბილისში მიმდინარე მოვლენების შემდეგ სერიოზულად დაზიანებული პირველი საშუალო სკოლის აღდგენა მთლიანად ქ. მოსკოვის მერიამ იღო თავს და კიდევ შეასრულა სიტყვა – პირველსკოლელებმა საუცხოოდ აღდგენილ – გარემონტებული შენობა მიიღეს. ამას წინათ საქართველოს დედაქალაქში მომხდარმა მიწისძვრამ სერიოზული ზიანი მიაყენა თბილისის ერთ-ერთ უძველეს სკოლას.

მოსკოველებმა ამჯერადაც მზადყოფნა გამოთქვეს ფინანსურად დაეხმარონ ამ სასწავლებელს. რუსეთის დედაქალაქის მერის ბ-ნ იური ლუეკოვის მიერ გამოგზავნილი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნების საფუძველზე დადგინდება თანხის ოდენობა, რომელსაც მოსკოვის მერია სარემონტო სამუშაოებისათვის გაიღებს და რემონტიც სულ მალე დაიწყება.

სტუდენტთა დავაობა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფის თაოსნობით ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ დიღმის ბავშვთა სახლის დასახმარებლად საქველმოქმედო აქცია მოეწყო. აქციაში მრავალი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები მონაწილეობდნენ. აქციას რომ ამზადებდნენ, ახალგაზრდებმა მოსახლეობაში, წარმოება – დაწესებულებებში ჩამოიარეს და ბავშვებისათვის შეაგროვეს წიგნები, ჟურნალები, ტანსაცმელი. მათივე მოწოდებით ბევრი ქართველი მწერალი საკუთარი წიგნებით მოვიდა „მზიურში“. აქციაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სააქციო საზოგადოებებმა „ყაზბეგმა“ და „კოკა-კოლამ“, ფირმა „სამგო-

რმა“, ლილოს წველების ქარხანამ, რომლებმაც თავიანთი პროდუქტია უფასოდ გადასცეს სტუდენტებს სარეალიზაციოდ. შემოსული ნაგაჭრი თანხა კი ბავშვთა სახლს გადაეცა.

„ბელურები“ მიერ – ავტობუსი აჩუქეს

ბავშვთა თავშესაფარმა „ბელურები“ გაეროს ბავშვთა ფონდისგან მშვენიერი მიკროავტობუსი მიიღო საჩუქრად. ამიერიდან აქაური გოგო-ბიჭები საკუთარი ტრანსპორტით ივლიან სკოლაშიც, ექსკურსიებზეც, თეატრშიც, ცირკშიც და სხვადასხვა ღონისძიებებზეც.

ჩინაძე, თათია

თურქეთის ქალაქ ადნაში გამართულ საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირზე საუცხოოდ იასპარეზა თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის ბავშვთა ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის აღსაზრდელმა თათია მიქაძემ. (მწვრთნელი ეკა თოხაძე). 14 წლის თათიამ ჯერ ერთეულთა თანრიგში მოიპოვა პირველობა, მერე კი უკრაინელ ჩოგბურთელთან ერთად – წყვილებშიც. წყვილთა თანრიგში მანანა შაფაქიძემ და ია ჯიქაძემაც ისახელეს თავი, მათ მეორე ადგილი დაიკავეს.

სასწავლო დაწესებულებისათვის 25 წელი სიჭაბუკის ახა, მონიფერობის ასაკი უი ნამდვილად აიხს. ეს ის ასაკია, ჰოცა სკოლას შუედიასაუთახი მატინის ფეხცილები გადამაროს, უან მიიხედოს, ნამოლვანახს გადახედოს, პიხუთვნიად შუაფასოს თავისი ნახმატებუიც და ნახცი.



სიმღერის ფესტივალის ლაურეატები ირაკლი ჯაფარიძე და ზღვკო გელაშვილი (პედ. თ. ჭკუასელი)

ჩვენ იუაილჩევი პეტი

გიორგი ცაბაძის სახელობის ხელოვნების სკოლაში ამ დღეებში სწორედ 25 წელი უსრულდება, გასასხენებელიც და თავმოსაწონებელიც ბევრი აქვს. იგი 1977 წლის იანვარში გაიხსნა და იმთავითვე იქცა გლანის რაიონის I მიგორაიონის კულტურისა და განათლების ერთ-ერთ წამყვან კერად. თავიდან ეს სამუსიკო სკოლა იყო და მას პირველი დღიდან დღემდე უცვლელად ხელმძღვანელობს თავისი საქმის პროფესიონალი, ქალბატონი მზია დადიანი, ასევე პირველი დღიდან უდვას დირექტორს მხარში მისი მოადგილე, ქალბატონი ხათუნა სირაძე. თავდაპირველად აქ მხოლოდ საფორტეპიანო განყოფილება მოქმედებდა, რომელზეც 50 მოსწავლე და 8 პედაგოგი იყო. სკოლის ხელმძღვანელთა მცდელობით იმავე წლის სექტემბერში უკვე ვიოლინოს, კლარნეტის და ფლეიტის კლასებიც გაიხსნა და, რაღა თქმა უნდა, შესაბამისად მოსწავლეთა რაოდენობაც გაიზარდა და პედაგოგებისაც.

სწორად, საქმის ცოდნით წარმართულმა მუშაობამ, სულ მალე გამოიღო კეთილი ნაყოფი. დაწყებული 1978 წლიდან, სკოლის აღსაზრდელები რეგულარულად მონაწილეობენ საქალაქო თუ რესპუბლიკურ კონკურსებში,



სიმღერის ფესტივალის ლაურეატები ნატო გოგიანიძე, სოფო კოტრიკაძე, თამუნა პეტრიაშვილი, მარი ნიკაჭაძე (პედ. ნ. ბარბაქაძე)



სიმღერის ფესტივალის ლაურეატი ბიჭების ანსამბლი (ხელმძღვ. ს. ოლქიაშვილი)



სიმღერის ფესტივალის ლაურეატი ქეთი საბაღაშვილი (პედ. ნ. თედიაშვილი)

სხვადასხვა სახის ბავშვთა კვირეულებსა და ფესტივლებში და ყოველთვის წარმატებას აღწევენ, სახელს უხვევენ მშობლიურ სკოლას და მასწავლებლებს.

ყოველი ასეთი კონკურსის თუ ფესტივალის წინ, თუ განაცხადში გ. ცაბაძის სახელობის ხელოვნების სკოლის მოსწავლეებიც არიან, უკვე ყველამ წინდაწინვე იცის, რომ ისინი ტოლს არავეს დაუდებენ და ლაურეატების ყველაზე რეალური კანდიდატები იქნებიან.

თითოეული პედაგოგის მაღალმა პასუხისმგებლობამ, საქმის სიყვარულმა და ცოდნამ, დირექტორისა და მისი მოადგილის ენერგიულობამ, საზრიანობამ, პროფესიონალიზმმა მოკლე დროში ამ სასწავლებელს ქალაქი ერთ-ერთი მოწინავე სკოლის სახელი დაუმკვიდრეს. ყოველივე ამის შედეგი იყო ისიც, რომ სწორედ აქ შექმნილ ბაზაზე ამაღლა კვალიფიკაცია ბევრმა სამუსიკო სკოლის დირექტორმა, დირექტორის მოადგილემ, პედაგოგმა თბილისიდან და მთლიანად საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან თუ რაიონიდან. 1987 წელს კი სწორედ ამ სკოლას ერგო პატივი ემასპინძლა ხარკოვის, ლენინგრადის, რიგის, ტალინის და ვილნიუსის სამუსიკო სკოლების დირექტორებისათვის. კულტურის სამინისტროს მეთოდური კაბინეტის (გამგე ქ-ნი ეთერ კილაძე) თაოსნობით მოწვეული სტუმრები სკოლის მუშაობის მეთოდების გაცნობის მიზნით ჩამობრძანდნენ, ხოლო იმაზე თუ რამდენად მოეწონათ მათ ეს მეთოდები, სკოლის შთაბეჭდილებათა წიგნში დატოვებული ჩანაწერები მეტყველებს, რომლებშიც საზგასმით არის აღნიშნული მთელი პედაგოგიკტივის და პირველ რიგში ქ-ნ მზია დადიანის და ქ-ნ ხათუნა სირაძის მაღალი პროფესიონალიზმი.

1985 წელს სკოლა ქ. ერევნის მე-12 სკოლას დაუმეგობრდა და სულ მალე სომხეთის დედაქალაქში მეგობრული კონცერტის ჩასატარებლად მიწვევაც მიიღო. სომეხი კოლეგებისა და მუსიკის მოყვარულთა წინაშე სკოლის 12 პედაგოგი წარსდგა და უნდა ითქვას, რომ მათმა ხელოვნებამ ძალზე მაღალი შეფასება დაიმსახურა, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ ერთი წლის შემდეგ ისინი კვლავ მიიწვიეს ერევანში კონცერტის გასამართად, ხოლო მეგობრული კონცერტების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის ქ. ერევნის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ სკოლის პედაგოგიკტივი საპატიო სიგელით დააჯილდოვა.


სამუსიკო სკოლამ იმდენად გაითქვა სახელი, რომ აქ სწავლის მსურველები სხვა მყარარიონებიდანაც მოდიოდნენ. სწორედ ამის გათვალისწინებით სკოლის ხელმძღვანელობის ძალისხმევით 1990 წელს მუხიანში სკოლის ფილიალი გაიხსნა და ამ ხაზით მოადგილედ საფორტეპიანო განყოფილების წამყვანი პედაგოგი ქ-ნი უუყუნა ჭანტურია დაინიშნა. დღეს ფილიალი თავისი დონით სათაო სასწავლებელს არ ჩამოუვარდება.

მოგვიანებით 1995 წელს სამუსიკო სკოლა ხელოვნების სკოლად გადაკეთდა. გაიხსნა სახვითი ხელოვნების განყოფილება და ამ განხრით დირექტორის მოადგილედ ქ-ნი ლალი ნაცვლიშვილი დაინიშნა. სკოლის ხელმძღვანელობის ამ ნაბიჯის სისწორე და გონიერულობა სულ მალე დადასტურდა. სახვითი ხელოვნების განყოფილებაზე სწავლის მსურველთა რაოდენობამ მოლოდინს გადააჭარბა. ქ-ნი ლალის ძალისხმევით რეგულარულად ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. ძალზე საინტერესო ნამუშევრები წარმოადგინეს ნორჩმა მხატვრებმა ახმეტელის თეატრში, მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გამართულ გამოფენებზე. ახლახან კი შვიდი მათგანი საქართველოში ჩეხეთის საელჩოს მიერ მოწოდებულ გამოფენაზე წარსდგა, აქედან ოთხის ნამუშევარი ჩეხეთში გაიგზავნა.

მუდმივად სიახლის მაძიებელი და ენერგიული ხელმძღვანელების წყალობით ცაბაძის სახელობის სკოლას სულ ახალ-ახალი განყოფილებები ემატება, იქმნება სხვადასხვა ჟანრისა და მიმართულების ანსამბლები. ხუთი წლის წინ ჩამოყალიბდა ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლი ქ-ნი დალი კანდელაკის ხელმძღვანელობით. ანსამბლმა წარმატებით დაიწყო და თავისთვის პირველივე დათვალეირებაში – ხალხური შემოქმედების II რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსზე ლაურეატობა მოიპოვა. ქ-ნი დალის გარდაცვალების შემდეგ ანსამბლს მისი ქალიშვილი, ამავე სკოლის აღზრდილი ქეთინო წიკლაური ჩაუდგა სათავეში, რომელიც დირექტორად აგრძელებს დედის გზას. ანსამბლი ახლახან გამართული საქალაქო დათვალეირების ლაურეატი გახდა.

გამოხდა ხანი და გაიხსნა გიტარის კლასი. სკოლის წარმატებებში გიტარისტებსაც შეაქვთ წვლილი. ცოტა ხნის წინ პედაგოგ ნ. ბარბაქაძის ორმა მოსწავლემ საქალაქო კონკურსის ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

1998 წელი და კიდევ ერთი სიახლე –



ნორჩ შემსრულებელთა III საქალაქო კონკურსის ლაურეატი ლაშა ქუხილაჯა (პედ. ნ. ცნობილაძე)



ხალხური შემოქმედების II რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრი (ხელმძღვანელი ქ. წიკლაური)



ნორჩ შემსრულებელთა საქალაქო და რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატი მადგა ომსარაშვილი (პედ. ვ. გრიგორიანი)

საესტრადო განყოფილება და ახალი წარმატებები. სიმღერის საესტრადო რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატები სტეფანია ბიანი (ქეთი სამადაშვილი (პედაგოგი ნ. ცნობილაძე)), ირაკლი ჯაფარიძის და ალექსო გელაშვილის დუეტი (პედაგოგი თ. ჭკუასელი), გოგონათა ტრიო თამუნა პეტრიშვილის, მარი ნიკაჭაძის და ნატო გოგიჩაიშვილის შემადგენლობით (პედაგოგი ნ. ბარბაქაძე). საპატიო სიგელით ჯილდოვდება ახლად ჩამოყალიბებული ვოკალური ანსამბლი პედაგოგ ნ. გოგოლაშვილის ხელმძღვანელობით.

ამავე წელს არსებულ კოლექტივებს შეემატა ბიჭუნების გუნდი (ხელმძღვანელი ს. ოლქიაშვილი), რომელშიც ქართველებთან ერთად ქართულ ხალხურ სიმღერებს სწავლობენ სომეხი, ქურთი, იეზიდი ბიჭუნები. იმავდროულად ჩამოყალიბდა ბიჭუნების ანსამბლიც.

ხელოვნების სკოლის გუნდებსა თუ ანსამბლებს შორის ყველაზე ახალგაზრდა საკრავიერი ანსამბლი, რომელიც შარშან ნოემბერში შეიქმნა. ამ მოკლე დროში მისმა ხელმძღვანელმა ზეინა მჭედლიძემ შეძლო საკუთარი შემოქმედებითი ხელწერის მქონე ორი ჯგუფი ჩამოეყალიბებინა და მოემზადებინა. მისმა მოსწავლეებმა პირველი გამოცდა უკვე ჩააბარეს, გრიბოდოვის სა-

ხელობის თეატრში გამართული კონცერტის სახით და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დებიუტი წარმატებული გამოდგა.

საკრავიერი ანსამბლის ჩამოყალიბებაში დიდი დამსახურება მიუძღვის ქ. თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსს, ბატონ დავით ოქიტაშვილს, რომელმაც ბავშვებს საჭირო აპარატურა და საკრავები შეუძინა. საკრავების და აპარატურის ნაწილი ანსამბლს თბილისის 28-ე სამუსიკო სკოლის დირექტორმა ბ-მა თ. ანდლუაძემ გადასცა.

ვფურცლეთ ცაბაძის სახელობის ხელოვნების სკოლის მატთან და აი დღევანდლამდე მოვედით.

ამჟამად სკოლაში 5 განყოფილებაა, სადაც 600-მდე მოსწავლე და 89 პედაგოგია. არსებობს 25 წლის განმავლობაში სკოლა 1002 მოსწავლემ დაამთავრა, მათგან 114-მა სამუსიკო და სამხატვრო სასწავლებლებში გააგრძელა სწავლა, 17-მა კი სახელმწიფო კონსერვატორია დაამთავრა.

25 წლის განმავლობაში სკოლის აღსაზრდელებმა 88 საქა-

ლაქო და რესპუ-
ბლიკურ ღონისძი-
ებაში მიიღეს მონაწილეობა.

კონკურს-ფესტივალების
თუ სხვადასხვა სახის და-
თვალიერებების ლაურე-
ატობა მოიპოვა 42-მა მო-
სწავლემ. საფორტეპიანო გა-
ნყოფილებიდან სხვადასხვა
დროს თავი ისახელეს; თიკა
რუხაძემ (დაამთავრა კონსერ-
ვატორია) პედაგოგი ნ. იუ-
სიმი; ტანია ბოგდანოვამ
(სწავლობს მოსკოვის კონსერ-
ვატორიაში) პედაგოგი ვ.
ლივინა; ნატაშა კლიშინამ
(დაამთავრა კონსერვატორია)
- პედაგოგი ი. ზახარჩენო;
გიორგი სელიმაშვილმა - პე-
დაგოგი ვ. გრიგორიანი; მა-
გდა ომსარაშვილმა - პედა-
გოგი ვ. გრიგორიანი.

მშობლიურ სკოლას სა-
ორკესტრო განყოფილების
მოსწავლეებმაც გაუთქვეს სა-
ხელი, ესენი არიან: ნინო ქსო-
ვრელი (დაამთავრა კონსერვა-
ტორია) - პედაგოგი ნ. მგე-
ლაძე; ბელა მოსესოვა
(დაამთავრა კონსერვატორია)
პედაგოგი ნ. მგელაძე, მაია
გოვაკა (დაამთავრა კონსერ-
ვატორია) - პედაგოგი ნ.
მგელაძე; ქეთინო გონგლაძე
(სწავლობს კონსერვატორი-
აში) - პედაგოგი ლ. აბაშიძე.

წარმატებას წარმატებაზე
აღწევენ პედაგოგ ნ. ბარბა-
ქაძის აღზრდილი ვიტარი-
სტები ივანე მგელაძე (სწა-
ვლობს სასწავლებელში) და
აუთო აფციაური, აგრეთვე ნ.
ცნობილაძის მოსწავლე ლაშა
ქუხილაკა.

განსაკუთრებით უნდა
აღინიშნოს საგუნდო კოლე-
ქტივების წარმატება. თითოე-
ული მათგანის ყოველი მო-
ნაწილეობა საქალაქო თუ რე-
სპუბლიკურ კონკურსში გა-
მარჯვებით გვირგვინდება. ამ
წარმატების შესაძირკვლეები
კი პედაგოგები სოფიკო
ოლქიაშვილი და აიდა მესრო-
პიანი არიან. საგუნდო კოლე-
ქტივების წარმატებაში
უდავოა კონცერტმეისტერ
თიკო ონაშვილის დამსახუ-
რება, რომლის ოსტატობა სა-
უკეთესო კონცერტმეისტერის
სიგელით აღინიშნა.

გ. ცაბაძის სახელობის ხელოვნების სკო-
ლაში ხელოვნების თეორიასაც მნიშვნელო-
ვანი ადგილი ეთმობა. აქ რეგულარულად
ტარდება შემეცნებითი ხასიათის კონკუ-
რსები, ვიქტორინები, რომელთა მომზადება
- ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვით
თეორიული საგნების პედაგოგებს: ნ. ქვე-



**საქალაქო დათვალიერების გამარჯვებული
თამარ ლორია (პედ. მ. ცომაია)**



**საესტრადო განყოფილების საკრავიერი ანსამბლი
ორივე შემადგენლობით (ხელმძღვანელი ხ. მჭედლიძე)**



**საკრავიერი ანსამბლის სოლისტი
თამუნა ღვინიაძე და
ხელმძღვანელი ზვირა მჭედლიძე**

ლიძეს, ლ. რეზვაიშვილს, ლ.
ონიანს, რ. ტყეშელაშვილს.

ხშირად იმართება კონსერ-
ლის აღსაზრდელებს უკრმოდ
ქ. კაპანაძის და ვ. გრიგო-
რიანის კლასების მოსწა-
ვლეთა სოლო კონცერტები.
მთლიანად პედაგოგიური კო-
ლექტივის მაღალ პროფე-
სიულ დონეზე მეტყველებს
ის ფაქტი, რომ სკოლის შვიდ
პედაგოგს მინიჭებული აქვს
„წლის საუკეთესო პედაგო-
გის“ წოდება.

სკოლის დირექტორს
მზია დადიანს და მისი მო-
ადგილეს ხათუნა სირაძეს კი
- „რესპუბლიკის დამსახუ-
რებული პედაგოგის“ წოდება.
1996 წელს ორივე ეს ქა-
ლბატონი ღირსების ორდენ-
ით დაჯილდოვდა.

კარგა ხანია, ტრადიციად
დამკვიდრდა პედაგოგთა ყო-
ველწლიური კონცერტები.
როგორც წესი, ამგვარი კო-
ნცერტები მუსიკალურ-კუ-
ლტურული ცენტრის დარბა-
ზში იმართება და მათი მო-
ნაწილეების პროფესიული
ღონის ოსტატობის თავისე-
ბურ გამოცდა-შემოწმებას წარ-
მოადგენს. მასწავლებელი,
ანუ ადამიანი, რომელიც ბა-
შეშეებს ასწავლის, მუდმივად
უნდა ზრუნავდეს საკუთარ
ცოდნაზე, ოსტატობაზე, პრო-
ფესიონალიზმზე - ეს მოთხო-
ვნა სავალდებულოა ცაბაძის
სახელობის ხელოვნების სკო-
ლის თითოეული პედაგოგი-
სათვის და ისინიც ღირსე-
ულად ასრულებენ მას. ამასვე
პირველ რიგში მათი აღსა-
ზრდელების მიღწევები, მერე
კი მოსწავლე-მასწავლებელთა
მიერ მიღებული მრავალი-
ცხოვანი სიგელები, დიპლო-
მები და სხვა ჯილდოები მე-
ტყველებს. ყოველი სასწა-
ვლო წლის ბოლოს ტრადი-
ციულად იმართება მოსწა-
ვლეთა კონცერტები და აქ
ასევე წარმატებით გამოდიან
ქ. კაპანაძის, ვ. გრიგორი-
ანის, მ. ცომაიას, მ. სალუ-
ქვაძის მოსწავლეები.

მაისის თვე საიუბილეოა
გ. ცაბაძის სახელობის ხე-
ლოვნების სკოლისათვის და
ამ საზეიმო დღეებში გამა-
როულ კონცერტებზე საზოგადოებას სა-
შუალება ექნება შეაფასოს თითოეული მო-
სწავლის თუ მასწავლებლის შრომის შე-
დეგი და თვალნათლივ დაინახოს, თუ რა
შეუძლია მონდომებას, პროფესიონალიზმს,
საქმის ერთგულებას და მაღალი პასუხი-
სმგებლობის შეგნებას.



თორნიკე, ცოტნე და ოლიმპიური თამაშები

თორნიკეს და ცოტნეს სპორტიც ძალიან უყვართ და ლიტერატურაც, უყვართ და ერთშიც და მეორეშიც საკმაოდ კარგად ერკვევიან. ალბათ საკუთარი თავის იმედი რომ ჰქონდათ, იმიტომ გადაწყვიტეს მონაწილეობა მიეღოთ სპორტულ-ლიტერატურულ კონკურსში, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მასში შემავალი ქვეყნების ბავშვებისთვის გამოაცხადა. კონკურსის მონაწილეებს ასეთი თემატიკა შესთავაზეს – „როგორ წარმოუდგენიათ ბავშვებს ოლიმპიური მოძრაობა და საკუთარი თავი ამ მოძრაობაში“. ოლიმპიურ კონკურსში 200 ქვეყნის მოზარდები ჩაერთვნენ. მათ შორის იყვნენ ძმები – თორნიკე და ცოტნე გაჩეჩილაძეები.

ბავშვები ოლიმპიური თამაშების დღეებში ატარებენ. ამასთან ცოტნემ ძალიან ცოცხლად წარმოადგინა, თუ როგორ ეჯიბრებიან ერთმანეთს ამ დროს გოგო-ბიჭები, როგორ ატარებენ ნამდვილი ოლიმპიადის ნაბაძვით სხვადასხვა ოლიმპიურ ცერემონიალს.

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ქართველი ბავშვების საკონკურსო ნამუშევრები ლოზანაში, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში გაგზავნა, სადაც ყველა ნამუშევარი გულმოდგინედ წაიკითხეს,



თორნიკე და ირაკლი გაჩეჩილაძეები სეოკის თავმჯდომარესთან ჯ. ბაგრატიონთან ერთად



კემ აირჩია თქმულება კავკასიონზე მიჯაჭვული პრომეთე-ამირანის შესახებ. მან შემოქმედისთვის დამახასიათებელი ორიგინალური მიდგომით გაიანზრა ეს თქმულება, თავის თხზულებაში წარმოსახვით დაუკავშირა იგი ოლიმპიურ ცეცხლს და დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ სასესიით ლოგიკური იქნებოდა, ოლიმპიური მოძრაობის სიმბოლო – ოლიმპიური ცეცხლი, კავკასიონის გავლით ჩაჰქონდეთ მორიგი თამაშების ადგილამდე.

უმცროსმა ძმამ, ცოტნემ კი საკონკურსო თხზულებაში აღწერა „ეზოს ოლიმპიური თამაშები“, რომლებსაც

სხვადასხვა კრიტერიუმით განიხილეს, უაღრესად ობიექტურად შეაფასეს და გამარჯვებულებიც გამოავლინეს. ახლახან სეოკ-ში სასიხარულო ცნობა მოვიდა – კონკურსის ქართველმა მონაწილეებმა თორნიკე და ცოტნე გაჩეჩილაძეებმა გამარჯვება მოიპოვეს. ძმების ნარმატების მაუწყებელ ოფიციალურ წერილს თან ახლდა სოკ-ის პრეზიდენტის უკვ როგეს ხელმოწერილი დიპლომები და პრიზები – ათლეტის ფიგურით კომპოზიციურად გაერთიანებული ბრინჯაოში ჩამოსხმული წიგნი ოქროთი მოვარაყებული პროფილის გამოსახულებით. ოლიმპიური სპორტულ-ლიტერატურული კონკურსის მონაწილენი ორ ასაკობრივ კატეგორიად იყვნენ დაყოფილნი – მოზარდები 12 წლამდე ჩათვლით და 13 წელზე უფროსები და ორივე კატეგორიაში ქართველმა კონკურსანტებმა გაიმარჯვეს, თანაც ძმებმა. ეს კი პირველი შემთხვევაა საერთოდ ამ კონკურსის ისტორიაში.

ახლა კი მოდით, ცოტა უფრო მეტი გავიგოთ იმ ბიჭებზე, რომლებმაც თავიც ისახელეს და სამშობლოც ასახელეს.

თორნიკე და ცოტნე გაჩეჩილაძეები თბილისის სკოლა-ლიცეუმ „რიტორში“ სწავლობენ. თორნიკე 13 წლისაა, ცოტნე 11-ის. ორივე გატაცებულია ლიტერატურით, ბევრს კითხულობენ. ძალიან უყვართ ქართული ხალხური სიმღერები და ორივენი ანსამბლ „დარიალში“ მღერიან, სპორტსაც პატარაობიდანვე მისდევენ, ჯერ „ავაზას“ საფეხბურთო სკოლის გუნდებში თამაშობდნენ თავ-თავისი წლოვანების მიხედვით, ახლა კი ცხენოსნობით არიან გატაცებულინი. საერთოდ სპორტული ბიჭები არიან, საიმოვნებით მონაწილეობენ ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილ მძლეოსნურ გარბენებში და ჩუმ-ჩუმად ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრაზე ოცნებობენ – თუ მონაწილეებად არა, მაყურებლებად მაინც.

მასსოვს, ციოდა.მე და გლები დახურული შემინული კარის წინ ვიდექით. თორმეტ-თორმეტი წლისანი ვიყავით და უკვე ორი წელი დავდიოდით ცურვაზე. წვრთნაზე პირველები მოვედით, უფრო სწორად, მე რომ მოვედი, გლები უკვე იდგა ბეტონის საფეხურებზე და იცდიდა, შემინული კარის მიღმა აუზის ვესტიბული მოჩანდა, ჩაბნელებული და ცარიელი. გლები ყოველთვის პირველი მოდიოდა ხოლმე. არიან ასეთი ადამიანები, მუდამ ადრე რომ მოდიან. დარაჯს ჯერაც ეძინა გარდერობში, გასაშლელ საწოლზე. ისე რომ, ჩვენ ვხედავდით, როგორ ეძინა, თუმცა კი მისი გაღვიძება არც ერთს არ მოგვსვლია აზრად. ზამთარი ის-ის იყო დაიწყო, ალუმინის ნახერხივით წვრილი თოვლი მოდიოდა. სევდიანად გუგუნებდნენ ტროლეიბუსები, სადღაც შორს, გაჩერებაზე, ტრამვაები რეკდნენ. თოვლი ავსებდა ფარნების შუქის კონუსებს. ჩვენ კი ამ თოვლში კიბეზე ვიდექით და მწვრთნელს ვუცდიდით.

- თუ წყალს ადამიანი არ უყვარს, მისგან მოცურავე არ გამოვა, - თქვა გლებმა.

- წყალს რა სიყვარული შეუძლია, - არ დავეთანხმე მე.

- ზოგი ადამიანი ქვასავით არის, წამითაც ვერ გაჩერდება ზედაპირზე.

- კი, არიან ასეთები.

- ჰოდა, წყალს ისინი არ უყვარს.

- არ უყვარს... - გავიმეორე მე. არ მინდოდა მეკამათნა...

- ისინი არც მოცურავეები არიან.

- იქნებ არ მოინდომეს, ანდა უბრალოდ ნებისყოფა არ ეყოთ?!

- შეიძლება - დამეთანხმა გლები.

ხელები კარგა გვარიანად გამეყინა, როცა ხეივნის ბოლოს მწვრთნელი გამოჩნდა. მოთხილა-



ნყალი კაიულის კვარაბზე

ადამ გლობუსი
მოთხრობა

მურის ბაილონის კოსტიუმით ვიცანი. თოვლის ლითონისებრ ბზინვაში გვიახლოვდებოდა, მოქნილი ნაბიჯებით მოდიოდა, ისეთი ნაბიჯით, სპორტსმენს სხვებისაგან რომ გამოარჩევს.

ისმოდა, როგორ ჭრაჭუნობდა მის ფეხქვეშ ცისფერი ბილივი, თითქოს პენობლასტიანო.

- მოდის, - თქვა გლებმა.

- ჰო, დავეთანხმე და კარის სქელ მინაზე დავაკაკუნე.

გასახდელში ნესტისა და ბათქამის სუნი ტრიალებდა. ვარჯიში შვიდ საათზე იწყებოდა. კაფელით მოპირკეთებული საშხაპე ლამის განმავლობაში გაშრობას ასწრებდა. კვირაში სამჯერ გლები პირველი რთავდა ლუმიხესცენციურ ლამპებს გასახდელში და საშხაპეში. შუქი ლამპებზე იღვრებოდა ქათქათა სიბრტყეებზე. გლებს ეამაყებოდა, რომ შუქს სწორედ ის რთავდა და არა სხვა ვინმე. მშრალი, განმიავეებული საშხაპე და გასახდელი ამ შუქზე ნესტიანი და

მოლიპული ჩანდა. გასახდელში ჩვენი ჯგუფის დანარჩენი წევრებიც გვიერთდებოდნენ ხოლმე.

დამლაგებელი კარგად გამოცნობდა, მაგრამ მაინც ყოველ შესვლაზე გვთხოვდა საშხს.

ონკანებს მოუშვებდნენ და წყლის კონუსები შიშველი ფიგურებით ივსებოდა. გლები მღეროდა, ის ყოველთვის მღეროდა ხოლმე საშხაპეში. ასე უფრო ადვილია ცივი წყლის ქვეშ დგომა, მაგრამ დიდხანს კი არ მღეროდა, სულ რაღაც ერთ წუთს. ტანი სიცივეს რომ შეჩვეოდა, ონკანები ასე იკეტებოდა - ჯერ წითელი, მერე ლურჯი, მე მომწონდა ფერთა ეს შეხამება - ლურჯი და წითელი თეთრ ფონზე, იმიტომ, რომ ლურჯი მაინცადამაინც არ აძლევდა წითელს გასაქანს. წყალი მოშხაპუნობდა და მერე შიშინითა და ბუებუყით ჩადიოდა იატაკში და ტანებულ ცხაურში. მე მიყვარდა შხაპეში დგომა და ყურება, როგორ ჩაედინებოდა წყალი ამ სიშხაპეში. ჩვენ აუზში ჩავდიოდით, კაფელის სლიპინა კვადრატებზე კი კვლავაც ბრწყინავდა წყლის წვეთები.

მასსოვს, როგორ არ გვსიამოვნებდა, როცა ვარჯიშის წინ ექიმი გავგაფრთხილებდა ხოლმე წყალში არ მოშარდოთო. „ჩვენ აქ საწყლოსნო სპორტის სასახლე გვაქვს, რაღაც აუზი კი არაო“, - ისე უსვამდა ხაზს სიტყვა „სასახლეს“, გეგონებოდათ, აუზში კი შეიძლებოდა მოშარდვა. არ გვიყვარდა ექიმი რომ უფასოდ გვაძლევდა ხოლმე ვიშნევსკის მალამოს. ფურუხულებით ვიყავით შეწუხებული.

აუზში ქლორისა და პალმების სუნი იდგა. მკლავებს მხრებზე შემოვიხვევდით ხოლმე და ვკანკალებდით ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებისაგან. მინის კარს მიღმა ქალაქი იღვიძებდა, მოშავო-ლურჯი ცის ქვეშ სინათლეების წერტილები

ინთებოდა, სამი მო-
მწვანო-მოლურჯო სი-
ბრტყე წვრთნის მოლოდინში
ირინდებოდა, რომაულციფრები-
ანი და ჟანგიანისრებიანი
მრგვალი ნაცრისფერი საათი
წვრთნის დროს ითვლიდა. ორი
კვადრატული აუზი ჩვენ არ გვე-
კუთვნოდა. იმიტომ, რომ ერთი,
ნაკლებ ღრმა და შედარებით
თბილი, „ლიფსიტებისთვის“ იყო,
მეორე, — ექვსი მეტრის სი-
გრძისა, კოშკურებიანი, — წყალში
მხტომელებისათვის. მაგრამ ჩვენი
ჯგუფი კოშკურებისკენ მიდიოდა
ხოლმე. ერთი მეორის მიყოლე-
ბით ავდიოდით ლითონის ცივ
საფეხურებზე, ყველას თავისი სა-
ყვარელი ადგილი ჰქონდა ამო-
რჩეული. მე სამმეტრიანი ტრა-
მპლინის პლასტიკის ფიცრის
დრეკად ბოლოზე ვჯდებოდი ხო-
ლმე. პალმებმა თითქოს კი იხა-
რეს, მაგრამ ქლორის გამო ცუ-
დად იზრდებოდნენ, ეს პალმები
ჩვენი ექიმის სიამაყეს შეადგე-
ნდნენ. კოშკურიდან პალმების ყუ-
რება არც ისე სასიამოვნოა. პა-
ლმის ფოთლების მახვილი ბო-
ლოები მოფერფლისფერო-ყვი-
თელი და გაფშეკილი იყო. არც
ერთი ჩვენგანი არ უყურებდა პა-
ლმებს, არც წყალს უყურებდა
ვინმე. სიმაღლე შიშის მომგვრე-
ლია და ამიტომ უმჯობესია ქა-
ლაქს უყურო, გზისპირს ჩაყო-
ლებული ფარნების ჯაჭვებითა და
შუქნიშნებით განათებულს.

მახსოვს, როგორ ავედი პი-
რველად ხუთმეტრიან კოშკურაზე
და როგორ გადმოვიხედე ძირს.
კაფელის კვადრატულ ჩარჩოში
მოქცეულმა ცისფერმა სიღრმემ
შემაშინა, კიბეზე დავეშვი. პი-
რველად თვალდახუჭული გადმო-
ვხტი და ძლიერადაც დავეხეთქე
წყალზე. კოშკურებზე ამპირული
შენობების ლავგარდანების ქანდა-
კებებით ვიდექით. კარგად ვი-
ცოდით, რომ წყლისთვის არ
უნდა გვეყურებინა, და დილის
ქალაქს ვუმზერდით. როცა წი-

თელ სპორტულ კოსტიუმში გა-
მოწყობილი, ფლოსტებში ფეხე-
ბწყაფილი მწვრთნელი სამხა-
პედან გამოვიდა, ჯგუფმა, თი-
თქოს უბრძანესო, წინ, ცივ სი-
ცარიელეში გადადგა ნაბიჯი. მე
ყოველთვის მიკვირდა, რომ
ფრენა მაშინაც არ მთავრდება,
როცა წყალში ხარ... და ხედები,
რომ ფრენა გრძელდება, ოღონდ
სხვა განზომილებაში. გუგუნმა აა-
ვსო მინაბეტონის ინტერიერი. აუ-
ზში წყალი აქაფდა, აბუყბუყდა.
მოთელვამ უხალისოდ ჩაიარა,
ვიცოდით, რომ ორასი მეტრი
უნდა გაგვეცურა, და ძალებს
ვზოგავდით. მწვრთნელი ხედავდა,
რომ ვეშმაკობდით, მაგრამ დუ-
მდა, მეგრდზე წამმზომი უბრწყი-
ნავდა.

როცა ხელში მიმიე წამმზომი
მეჭირა ხოლმე, დრო ადვილი და-
საძლევი მეჩვენებოდა, ცარიელი
ტრიბუნები კი ძველ რომს მა-
გონებდა.

მწვრთნელმა ხელები შემართა
— ეს იმას ნიშნავდა, რომ მოთე-
ლვა დამთავრდა. მე და გლეები
ტუმბებზე ერთმანეთის გვერდით
ვიდექით. ორმოცდაათ-ორმოცდა-
ათი მეტრი უნდა გაგვეცურა
ოთხჯერ, სხვადასხვა სტილით.
მწვრთნელმა პლასტმასის ბრ-
ტყელ სასტვენს ჩააბერა და წა-
მმზომი ჩართო. პირველ ორმო-
ცდაათ მეტრს ჯგუფი კროლით
მიცურავდა, ვიგრძენი, რომ ჩა-
მოვრჩი გლებს. კროლი ჩემი
სტილი არ არის. კროლით ცუ-
რვისას პირველი გლები მოდი-
ოდა ხოლმე. გავიგონე, როგორ
გუგუნებდა წყალი ჩემს თავთან,
მივხვდი, რომ გლებმა მთელი ტა-
ნით იგრძნო წყლის სიბრტყე,
არსებობს ასეთი სიბრტყე, თვი-
თონვე რომ მიჰყავხარ გამარჯვე-
ბამდე, თუ კი იგი იგრძენი. ჯგუ-
ფში მხოლოდ მე და გლებმა ვი-
ცოდით ამის შესახებ. საიდუ-
მლოს არ ვმაღავდით, უბრალოდ
ვერავინ ავიხსნის ამ სიბრტყის
რაობას, თუ თვითონ ვერ შე-

იგრძნობ. ბრუნი მე უკვე შევა-
სრულე და გლებსაც დავეწიე,
ჯგუფი ჯერაც კროლით მიპარ-
ბდა ქლორიან წყალს, მე და
გლები კი უკვე ზურგზე ვიწე-
ქით. ზურგზე ცურვით პირველი
მე მივედი.

მწვრთნელი კაფელის ბილი-
კზე მიმოდოდა და წამმზომს და-
სცქეროდა. მას მანიკიურიც ჰქო-
ნდა და პედიკიურიც და ჩვენ ეს
არ მოგვწონდა. მწვრთნელსაც არ
ვუყვარდით მე და გლები. იცოდა,
რომ ჩვენ ისევ პირველები მო-
ვიდოდით და კარგ შედეგებსაც
ვუჩვენებდით, მაგრამ ადამიანი
რომ გიყვარდეს, ამისათვის არ
კმარა, იგი პირველი მოდიოდეს
და კარგ შედეგებს უჩვენებდეს.

შემდეგი ბრუნიც კარგად შე-
ვასრულე, მაგრამ არც ბატე-
რფლანია ჩემი სტილი. მერე ვი-
გრძენი, რომ სიბრტყე, რომელსაც
გამარჯვებისაკენ მიჰყავდა გლები,
გაქრა. ისე, რომ გლები აღარ
მინტერესებდა, მომეჩვენა, რომ
შავი ზოლი აუზის ფსკერზე სულ
არ ირხეოდა. ბოლო ორმოცდა-
ათი მეტრი ძლივს გავცურე, კი
არ გავცურე, წყალში მოძრაობის
მდგომარეობაში გავძელი, კედელს
რომ შევეხე და ფსკერზე დავექი,
ხელები ზევით ამომიტივტივდა და
ზედაპირზე დალაგდა, წყალი კი
ცხელი და ცხიმივით ბლანტი გა-
ხდა.

სამხაპეში გლები ჩემ მერე შე-
მოვიდა. ცივი წყლის ქვეშ ვიდე-
ქით. ვიცოდით, რომ წყალი ცივი
იყო, მაგრამ ვერც კი ვგრძნო-
ბდით ამას, შემოვიდა მწვრთნელი
და ჩვენი შედეგების ქებას მოჰყვა.
მე მას წყლის ჭავლის მიღმა ვუ-
ყურებდი და ამიტომაც თავისი
წითელი კოსტიუმით ცელულო-
იდის ტომარას მაგონებდა. წყლის
ხმაურში მისი ხმა არ გვესმოდა,
უბრალოდ, ვხვდებოდით, რომ
გვაქებდა. გავიფიქრე, რომ
მწვრთნელმა აუცილებლად უნდა
იყიდოს ლურჯი ფერის
„ფირმა“ სპორტული მა-

რვალი.

აუზის შემდეგ ზამთრის ჰაერი სასიამოვნოდ გვეღვრებოდა მკერდში. მე და გლეხი ტყეპარვის ფიჭვნარში მივაბიჯებდით. ზურმუხტისფერ კენწეროებში რუხი სინათლე ატანდა. გარშემო სიცარიელე, სიჩუმე და სიცივე იყო. აუზის მერე ყოველთვის გვძივდებოდა ხოლმე.

სასურსათო მაღაზიაში, ისევე, როგორც ტყეპარკში, ჯერ არავინ იყო. განყოფილებიდან განყოფილებაში დავბორიალობდით. გამყიდველი ქალები ხან ჩვენ გვაღვენებდნენ ზანტად თვალს, ხანაც დათოვლილ ქალაქს გაჰყურებდნენ.

– შაქარი ავიღოთ, – თქვა გლეხმა.

– რაფინადი? – ვკითხე მე.

– არა, ნატეხი.

– არის რო?

– კი, აგე, იქ არის – დამანახა გლეხმა.

– წამო, ჩეკი ავიღოთ.

– ჯერ უნდა ავაწონინოთ.

ერთი წუთის შემდეგ კი ჩვენ მაღაზიის წინ ვიდექით და ხელში თითო ნატეხი შაქარი გვეჭირა. თოვდა და თოვა ისეთ შეგრძნებას ბადებდა, როცა გინდა უკან მოუხედავად გაიქცე სახლში და მთელი სამყარო უკან მოიტოვო. ხელები გაგვეყინა. შაქრის გემო პირს გვიშუშხავდა. რატომღაც აღარ მომინდა ჭამა.

– შაქარი ყინულს ჰკავს, – თქვა გლეხმა.

– მე კი ფიგურულ სრიალს მაგონებს, – ვთქვი მე და შაქარი ჩანთაში ჩავაგდე, იქ, სადაც ცელოფანის პაკეტით საცურაო ტრუსები და პირსახოცი მედო.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ყინულსა ჰკავს და ციგურებს მაგონებს. მე დავდიოდი ფიგურულ სრიალზე.

– რატომ მიატოვე?

– ჯგუფში ორი ბიჭილა დავრჩით. ჰოდა, მიატოვეთ. თავი-

დან ათნი ვიყავით, და ყველამ მიატოვა – ორნილა დავრჩით. მთელ წელიწადს ჩვენ ორნი დავდიოდით. მერე საერთოდ მარტო დავრჩი და მიატოვე.

– ცურვაზე როგორღა დაიწყე სიარული?

– ჩემთვის სულ ერთი იყო, რაზე ვივლიდი, სკოლაში მწვრთნელი მოვიდა აუზიდან. მისი სპორტული კოსტიუმი მომეწონა, ავდექი და ჩავეწერე. როცა მკითხა, რა შეგიძლიაო, სკოლის ვესტიბიულის ბეტონის იატაკზე ორი მაღაყი გავაკეთე. შენა?

– მე ადრეც ვცურავდი, – თქვა გლეხმა.

– სად?

– სმოლენსკში. ჩვენ სმოლენსკში ვცხოვრობდით. დედა ფიზკულტურის მასწავლებელი მყავს. საბავშვო ბაღიდან დავდივარ ცურვაზე... – მერე დაამატა, – უნდა გავანებო თავი.

– შენ ხომ ყველაზე უკეთ ცურავ?! – გამიკვირდა მე.

– მერე რა?

– როგორ მერე რა? შეგიძლია ოსტატიც გახდე.

– არ შემიძლია.

– რატომ?

– არ მაინტერესებს. დედა სპორტის ოსტატია. აი მას არ შე-



უძლია აუზის გარეშე, მე კი შემიძლია. ის კი არა, ცურვის გარეშე უკეთესადაც კი ვცურავდი... ცმა რომ თქვას, შენც ვცურავდი ცურავ... რამდენჯერმე მაჯობე კიდეც.

მე მარტო ზურგზე ვცურავ კარგად.

ისევ მომინდა ჭამა და შაქარი ამოვიღე. გლეხს თითქმის სულ შეეჭამა თავისი ნატეხი, არიან ასეთი ადამიანები, პირველები რომ ამთავრებენ ხოლმე თავიანთ წილ საჭმელს, მაშინ სხვები თავიანთსას აძლევენ, კვლავ თანასწორად რომ გამოვიდეს.

– იცი, ვერასდროს ვერ გაპატეებ, დღეს რომ გამისწარი, – მითხრა გლეხმა, როცა თავისი შაქარი სულ შეეჭამა.

– შენ საკუთარ თავს ვერ აპატეებ, ამიტომ დარჩები, მე კი მიატოვე.

– სერიოზულად?

– ჩემთვის შორია, მთელი ქალაქის გამოვლა მიწევს. ორჯერ უნდა გადავჯდე – გადმოვჯდე, ახალი ბინა მივიღეთ. ერთი საათი დამჭირდება გზაში.

– შეიძლება სწორად იქცევი.

მივხვდი, რომ გლეხს მოეწონა ჩემი გადაწყვეტილება და წასვლა მომინდა, მაგრამ დავრჩი და ვუთხარი:

– ჩვენს სკოლაში თხილამურების სექციაა და მეც იქ ვივლი.

– რომ თქვი, ზამთარი არ მიყვარსო?

– ზამთარი არ მიყვარს, თორემ გრძელ დისტანციებზე სიბრბილი ძალიანაც მიყვარს. ჩემი ტროლეიბუსი მოვიდა. კარგად იყავი!

ცურვა მიატოვე, იმიტომ, რომ მე, უბრალოდ, არ მომწონდა ქლორიანი შაქრის გემო, სიცივე და ფურუნკულოზი.

მხატვარი
მისიილ ნონიკაშვილი
თარგმნა
მ. კარგარაიძე



ოფთმხერი

ჩემი სამშობლო

მიყვარს ჩემი სამშობლო,
 ჩემი ენა ქართული,
 ენა შოთა რუსთველის
 ვეფხის ტყავეში ჩასმული.
 მეტეხი და ნარიყალა,
 ბევრის მთქმელი მტკვარი,
 კურთხეული საქართველო,
 ნინოს ვაზის ჯვარი.
 ქართველების ნინაპრები -
 თამარ მეფე, დავით,
 მეფეები უძლეველნი,
 ქრისტეს მოდგმისანი,
 მიტომ მიყვარს ჩემი ერი,
 ენა ძველისძველი,
 მარიამის საქართველო,
 ერიწა და ბერიწა.

ირსაზ ზოსიაშვილი, თბილისის
 191-ე საშუალო სკოლის
 V კლასის მოსწავლე

ყურეჭვიცა

დარბის, დახტუნავს ყურეჭვიცა,
 ყურეჭვიცა ყურეშარტყუნა,
 უყვარს ზოსტანში სკუპ-სკუპი
 თვალეზს აწერებს მალულად.

იქვე ეზოში მურიას
 უყურებს გაბრაზებულნი,
 ოპ, ერთი ჭაჭვით არ ვიყო
 ლობეზე მიმაგრებულნი.

თამარ ზოსიაშვილი,
 თბილისის 191-ე საშუალო სკოლის
 III კლასის მოსწავლე.

ჩემი ოცნება



ყველა პატახას აქვს თავისი ოცნება. მეც
 გამონაჯელისს ახ ნახმოვადგენ. მე ჯეი შვიდი
 წლის ვაჟი, დავიბადე თბილისში, მაგჩამ ჩემი
 სამშობლო აფხაზეთია. ჩემს ოჯახში ყო-
 ვედლეუ იხსენებენ მშობლიუი ეუთხეს, სახე-
 ჯახს. ჩემი ძმები გულისტკივილით იხსენე-
 ბენ იმ მხაიეს, სადაც პიხველად აიდგეს
 ფეხი და ნახმოთქვეს სიყვავა „დედა“. მათ
 ხომ ჯაიგად ახსოვთ ყველათუი. მეც ისე
 ჩამინეიგეს ჩემი ეუთხის სიყვავიელი, ხომ
 ასე მგონია, მეც იქ დავიბადე და გავიზა-
 ხდე.

მაინტეიესებს, მაიხილა აიხებობს თუ აია
 ნატვიის თვალნი, თუ ეს მხოროდ ზლავიქ
 ქვეყნებში ხდება? და თუ აიხებობს, სად
 ვიშოვო, ნეტავ? ლმეითო, მაპოვნინე ნა-
 ტვიის თვალნი, ხათა ვთხოვო მას დამაბი-
 ნოს ჩემს სამშობლოში. ეს ჩემი ყველახე
 დიდი ოცნებაა და ლმეითმა ქნას, ამიხდე!

თეონა ძარღავა,
 II კლასი, აბახთუშის
 საშუალო სკოლა

ილიას

ჩვენო ბრძენო, ჩვენო მამავ,
 ჩვენო დიდო ილია,
 რომ იწოდე, როგორ გვიფირს,
 უშენობა ძნელია.

შენი ლექსი თუ მოთხრობა
 ვილას არ უსწავლია,
 შენი აზრი, შენი სიტყვა
 ვის არ დაულორია.

ზურა ძარსაულიძე,
 საგარეჯოს №1 საშუალო სკოლის VI
 კლასის მოსწავლე.

მე და ჩემი უფლებები

მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 27

ამონაწერი დღიურიდან

ბნელა, გარშემო ყველა კორპუსი ჩაბნელებულია. ძალიან ცივა. მე და ჩემი და დედამხემს ვთხოვთ, ნავთქუა ავეინთოს, მაგრამ დედა უარის ნიშნად თავს გააქნევს, მაშინ ეკას სამზარეულოდან ანთებული ლამპა გამოაქვს. ოთახში ნათის სუნი დგება.

ამჯერად, სიცივეს და სიბნელეს ვიძიებ, რომ არ ვიშეცადინო, სიწუმეში ფიქრებში მივიღივარ.

მოდით, წუთით მიწის ქვეშ ჩავიდეთ, ალბათ მიწის ქვეშ ჭიანჭველების ოჯახიც

ჩვენსავით მრგვალ მაგიდას უზის ლამპის შუქზე და ისინიც ჩვენსავით სინათლეს ელოდებიან. მე ვფიქრობ: რა ძალა აქვს ლამპის შუქს. ისევე ჭიანჭველებთან ვბრუნდები, მათ სალაპარაკო ვერ გამოუძებნიათ, რომ გაერთონ, არც ჩემსავით სამეცადინო აქვთ. აი, მუშა ჭიანჭველებს კი დიდი ჯაფა ადგათ – მათ დაბლვერილ სახეებში დიდი დაღლილობა იყო ჩამდგარი. ერთმა ნაღვლიანად ჩაიცინა და თქვა: ხვალ ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი. ამ დროს ყველა მუშა ჭიანჭველას ერთნაირი აზრი მოუვიდა: წავიდეთ, დავიძინოთ, ხვალ ადრე ვართ ასადგომებიო. ის იყო ტანზე გახდა უნდა დაეწყოთ, რომ დენიც მოვიდა და ბნელეთი განათდა.

უეცრად ეკამ შემანჯღრია და მითხრა: დენი მოვიდა, იმეცადინეთ.

ნიპა მილძაძე,

თბილისის 126-ე საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე.



ბავშვის უფლებათა კონვენცია
The Convention on the Rights of the Child

საბავშვო მონაწილეობა
Children's Participation
unicef

წავილი უსსოფრ მშობლებს

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საერთაშორისო შეხვედრების ჩამოყალიბების უნახის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხვედრები ნებისმიერ საკითხზე, ხომელიც მას ეხება, ამასთან ბავშვის შეხვედრებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.

ბავშვის უფლებათა კონვენცია მუხლი 12.

ახლა, როგორც ბევრმა ჩემმა თანატოლმა, მეც დავიწყე ინგლისური ენის შესწავლა. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ბავშვთა საერთაშორისო ურთიერთობის კაბინეტში დავდიოდი. ნატო მასწავლებელი ხშირად გვიყვებოდა ამერიკელი ბავშვების ცხოვრების შესახებ. მე გავიფიქრე, რომ ინგლისურად საქართველო როგორც „ჯორჯია“ ისე გამოითქმის, ისიც რომ ამერიკაში „ჯორჯია“-ს შტატია. ძალიან დამაინტერესა იქაური ბავშვების გაცნობამ. დაეწერე წერილი, რომელშიც ვწერდი სახელს და გვარს, წლოვანებას და მოქალაქეობას, სურვილს გამოვთქვამდი, გამეცნო ამერიკის კონტინენტზე მცხოვრები ჯორჯიელი ჩემი თანატოლი გოგონა. მასწავლებლის დახმარებით წერილი გავაგზავნეთ და მალე პასუხიც მომივიდა. ამერიკის ერთერთი კოლეჯიდან ჩემი თანატოლი ლილი დორლსონი გამოემხმეა. ლილიმ მომწერა, ცხოვრობდა დედ-მამასთან და უფროს ძმასთან ერთად, ჰყავდა ბევრი მეგობარი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც დედამისს არ მოსწონდა. მიუხედავად ამისა, ის შვილს სრულ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას ანიჭებდა. ძალიან გახარებული ვიყავი, რომ ასეთი მეგობარი შევიძინე, და იმ დღესვე მივწერე ლილის პასუხი, სადაც ვწერდი, რომ დედაჩემი მის დედას სრულებით არ ჰგავს, რომ იგი არა მარტო ჩემს ყოველ ნაბიჯს უთვალთვალავს, არამედ პაერი, რომლითაც მე ვახუნთქავ, დე-

დაჩემის მიერ არის რეგისტრირებული, მეგობრებიც მისი შერჩეული მყავს. ამიტომ გადავწყვიტე, შენ დაგაკავშირობდი, რათა ჩემი სამყარო შემექმნა, რომელიც ყოველთვის მაკლად-მეთქი. ძალიან მინდა, რომ ერთმანეთთან გულახდილი მიწერ-მოწერა გვქონდეს. რა თქმა უნდა, თუ ეს შენი სურვილიც იქნება. შენ შეგიძლია გულახდილად მომწერო ყველაფერი, რადგან ჩემს ოჯახში წერილს ადრესატის გარდა არავინ ხსნის. წერილთან ერთად ვიგზავნი ჩემს სურათს, შენც გამომიგზავნე.

ორ კვირაში სანატრელი წერილიც მომივიდა. შიგ წერილთან ერთად სურათი იდო და უკან ეწერა: „ჩემს შორეულ მეგობარს სახსოვრად ლილისაგან“: ეს იყო ქერათმიანი შავთვალა მოხდენილი გოგო. სურათი კმაყოფილმა გვერდზე გადავდე და წერილის კითხვას შევუდექე. აი, რას იწერებოდა ლილი: „მე შენი სურათი მომეწონა, თითქმის ასეთი მყავდი წარმოდგენილი. ამ კვირაში ერთი ისეთი რამ მოხდა, რამაც ძალიან დამაფიქრა, და მინდა, ეს ამბავი შენც გაგიზიარო: ჩემი ერთ-ერთი კლასელი ემილია დაუკავშირდა ისეთ ადამიანს, რომელიც მის მშობლებს არ მოსწონდათ, მაგრამ, ის მაინც აგრძელებდა მასთან მეგობრობას. ერთხელ ამ მეგობარმა ემის რაღაც ამანათის წაღება სთხოვა თავის ამხანაგთან, მაინც რა თქმა უნდა, შეუსრულა ეს თხოვნა. შემდეგ გაირკვა, რომ თურმე ეს ამანათი ნარკოტიკული სა-

შუალება იყო და ძალაუნებურად ემი ამ საქმის თანამონაწილე გახდა. არ მინდა, მეც რომ იგივე მომივიდეს და გადავწყვიტე ადამიანს სანამ კარგად არ გავიცნობ, მანამ არ დაუახლოვდე. იმეღია, შენც გაითვალისწინებ ამას. ველი პასუხს. შენი მეგობარი ლილი“.

წერილი ჩავათავე და დაეწყე პასუხის წერა. ასე გრძელდებოდა ჩვენი მიწერ-მოწერა. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ამ დროის განმავლობაში დედას ვედარ ვცნობდი. რაც ჩემი უცხოელი მეგობრის წერილების კითხვა დაეწყო, ის აღარ უთვალთვალავდა ჩემს ყოველ ნაბიჯს. რაც უფრო მეტ თავისუფლებას მანიჭებდა, უფრო მეტ პასუხისმგებლობას და პატივისცემას ვგრძნობდი მისდამი. ჩემმა შორეულმა მეგობარმა სულ შეცვალა ჩემი ცხოვრება. დიდი პაუზის შემდეგ მან კვლავ მომწერა წერილი. სკოლიდან დავბრუნდი და ჯერ სახლში არ ვიყავი შესული, ფოსტა გაგხსენი და, როცა მისგან გამოგზავნილი წერილი დავინახე, ბედნიერებით მეცხრე ცაზე ვიყავი. ამჯერად ლილი მწერდა, რომ ძალიან გაუხარდებოდა, თუ მე და დედაჩემი მასთან ჩავიდოდით სტუმრად. კოცნას მითვლიდა და მელოდებოდა. მე წერილი დავეკეცე და შინ შევვარდი, რათა ეს ამბავი დედასათვის მეხარებინა.

ნიპა მილძაძე,

თბილისის 126-ე საშუალო სკოლა, მე-7 კლასი.

თავიდან, როცა ავტოლაში ხმა გავრცელდა ზაპკის I კორპუსში საკვირაო სკოლა გაიხსნაო, რამდენიმე დღე არავინ გამოჩნდა და ნაზი ბალხამიშვილი ცოტა არ იყოს შეფიქრიანდა, ვაითუ, ბავშვებმა არ მოინდომონ საკვირაო სკოლაში სიარული და ჩანაფიქრი ჩანაფიქრად დარჩეს, ძირშივე ჩაკედესო. მაგრამ აი, ჯერ ერთმა შემოაღო მისი ბინის კარი (ჯერჯერობით სკოლა აქ, ნ. ბალხამიშვილის ბინაში არის თავშეფარებული), იცითხა, მაინც რა სკოლაა, რას ასწავლიან და გადასახადი რამდენიაო და როცა გაიგო, რომ სწავლა სრულიად უფასო იქნებოდა, მაშინვე განაცხადა, ჩამწერეთ, აუცილებლად ვივლიო. იმ პირველს მერე მოჰყვა, მერე მესამე და მეოთხე, მეხუთე... მოვიდნენ „ციხარტყელაში“ ზაირა ჩოხელი, თამარ გელაშვილი, თეა ღონდაძე, ჯულიეტა ტეფნაძე, მაია ბირთველაშვილი, დები ბალხამიშვილები, ელისო ნაყოფია, სხვები და სხვები. დღეს კი ამ საკვირაო სკოლაში 50-ზე მეტი ბავშვია და ისეთი პირი უჩანს, რომ ხვალ და ზეგ მათი რაოდენობა იმდენად გაიზრდება, რომ „ციხარტყელას“ რომელიც ახლავე ძალზე ვიწროდ არის მისი დამარსებლისა და ხელმძღვანელის კუთვნილ ბინაში, სხვა სამყოფელი დასჭირდება. ქალბატონი ნაზი იმედიანი ქალია, სწამს, რომ ღვთის მადლით ყოველი კეთილი საქმე, დიდი იქნება თუ პატარა, კარგად დაგვირგვინდება და საკვირაო სკოლაც ხომ ერთი ასეთი საქმეა და მაშასადამე, უთუოდ გამოიჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ფრთხილად „ციხარტყელას“ შესაფერის შენობაში გადასვლაში დაეხმარებიან. მერე განა ბევრს ითხოვენ, ერთი ის რომ არ აწვიმდეთ და არ ათოვდეთ, დანარჩენს კი ისევ და ისევ კეთილი ადამიანების შემწეობით, შემოწირულობებით და საკუთარი გარჯით მოაწყო-

ნ. ცომაია. ს.ს. „საქენერგორემონტის“ გენერალური დირექტორი შ. ლეჟავა, ც.ს. ქარხნის გენერალური დირექტორი თ. დვალიძე, თბილისის კომპლექსური სატყე-პარკო მეურნეობის დირექტორი ო. ოქროპირიძე, ბ. გ. სადგ. „მომავალი-96“-ის დირექტორი მ. ლიპარტელიანი, შ.პ.ს. „ავტოვალს“ დირექტორი ო. ფურცელაძე, ავტოზინსერვისის დირექტორი ო. ბაკურაძე, წიგნის მღაზია „საუნჯეს“ დირექტორი შ. ბერიძე, გლდანის ავტოსერვისის დირექტორი გ. ყარალაშვილი და სხვები, მამ მომავალში რატომღა არ უნდა ჰქონდეთ თანადგომის იმედი?



იმათ შორის, ვინც ციხარტყელელებს ეხმარება და ანგარიშს უწევს, ცალკე უნდა მოვიხსენიოთ, 151, 148, 154, აგრეთვე ზაპკის – მეტროს სადგური „სარაჯიშვილი“, ზაპკის – მეტროს სადგური „დიდუბის“ მარშრუტებზე მომუშავე მიკროავტობუსების მძღოლები, რომლებსაც არაერთხელ გადაუყვანიათ უფასოდ როგორც პედაგოგები, ასევე მოსწავლეები.

მაინც რას ასწავლიან ბავშვებს „ციხარტყელაში“? რას და – ქარგვას, ქსოვას, გალობას, საოჯახო მედიცინას, ჭრა-კერვას, საპარიემახერო საქმეს, უცხო ენებს, ერთი სიტყვით იმას, რაც ცხოვრებაში დასჭირდებათ და გამოადგებათ. ახლა კი იმათაც გაგაცნობთ, ვინც გულის ძახილით მოვიდა აქ და სრულიად უანგაროდ, სიყვარულითა და მოთმინებით ემსახურება ბავშვების განათლების, გათვითცნობიერების, მათი სულის გაფაჩიხების, ღმერთის სიყვარულის ჩანერგვის, ღირსეულ მამულიშვილებად აღზრდის საქმეს. ესენი არიან: მაია კეთიაშვილი, ლეილა მუსხელიშვილი, თეა დემეტრაშვილი, მაკა იმერლიშვილი, ასია გირეკლაძე, ხათუნა გულიაშვილი, ლია ჩახიძე. ციხარტყელელებს – მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც ძალიან უნდათ, რომ სკოლაში დამატებით სახვითი ხელოვნების, ქართული ხალხური სიმღერის, ტრადიციული ქართული ორთაბრძოლის „ზრიდოლის“ წრეებიც ჰქონდეთ. და ადრე თუ გვიან აქ ეს წრეებიც ამოქმედდება, ყველაფერი ისევ და ისევ შესაბამის ფართსა და მატერიალურ ბაზაზე იქნება დამოკიდებული.

ჯერჯერობით კი არსებულ წრეებში დადიან ბავშვები, სწავლობენ, იხვეწებიან, ნათლდებიან, ქრისტიანული ცხოვრების წესს ეზიარებიან.



ბენ და გაალამაზებენ. ხომ დაეხმარნენ და ეხმარებიან სკოლას თბილისში ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე წმიდა ნინოს სახელობის ეკლესია, იოანე ნათლისმცემლის სახელობის დედათა მონასტერი ავტოლაში, დაბა ზაპკის გამგებელი ჭ. დეისაძე, შ.პ.ს. „თოს“-ს დირექტორი თ. ჯებაშვილი, ინდუსტრიული „ზურაბ გაბელია“, სს „საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტი ვ. პატეიშვილი შ.პ.ს. „გოხი-99“-ის დირექტორი გ. ტეტელიშვილი, შ.პ.ს. „ბარისახო“-ს დირექტორი ვ. ლორთქიფანიძე, შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტის“ დირექტორ



პლანეტის უმდიდრესი ადამიანები

მაინტეხესებს, ვინ აჩის ყველაზე მედიანი ადამიანი მთელ მსოფლიოში?

კობა ქართველიშვილი, 14 წლის, თბილისი

ამერიკული ჟურნალი „ფორბსი“ ტრადიციულად ყოველ წელს აქვეყნებს ჩვენი პლანეტის უმდიდრესი ადამიანების, მილიარდერების სიას. მილიარდერთა მორიგ სიაში შესულია 497 ყველაზე მდიდარი, ანუ იმ ადამიანების გვარები და სახელები, რომელთა პირადი ქონება მილიარდ დოლარს აღემატება, ხოლო მათი ერთად აღებული ქონება ერთნახევარ ტრილიონს შეადგენს. შეგახსენებთ – ტრილიონი ათასი მილიარდია და ერთიანით და 12 ნულით გამოისახება.

„ფორბსის“ სიაში პირველი ათი სტრიქონი კვლავაც ცხრა ამერიკელს და ორ გერმანელ ძმას უკავიათ. პირველობას კვლავაც კოორპორაცია „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელი და მეპატრონე, 47



წლის ბილ გეიტსი ინარჩუნებს. მისი ქონება 52,6 მილიარდ დოლარად არის შეფასებული (და ეს მას შემდეგ, რაც იგი 6 მილიარდით „გალარიბდა“). მეორე ადგილზეა ცნობილი ამერიკელი ინვესტორი უორენ ბაფეტი, რომელიც დღესდღეობით 35 მილიარდის პატრონია. მესამე ადგილზე „უძრავი ქონების ბარონები“, გერმანელი ძმები კარლ და ტეო ალბრეხტები არიან. მათი ქონება 26,8 მილიარდად არის შეფასებული. „ფორბსის“ საერთო სიაში მეოთხე პოზიციაზე პოლ ალენია, რომელიც ბილ გეიტსთან ერთად იდგა „მაიკროსოფტის“ სათავეებთან და პროგრამული უზრუნველყოფით იყო დეკავებული. შეგახსენებთ, რომ ბილ გეიტსმა და პოლ ალენმა 1977 წელს დააფუძნეს კომპიუტერების კორპორაცია. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე რომ მიაბიჯებდა, პოლმა თვალი მოკრა ჟურნალ POPULAZ ELECTRONICS-ის 1975 წლის იანვრის ნომერს, რომლის ყდაც პირველი პერსონალური კომპიუტერის ფოტო იყო მოთავსებული. სწორედ ამ ფოტომ და მისმა თანმხლებმა ტექსტმა გადამწყვიტა ამ ორი ახალგაზრდის მომავალი.

მესუთე ადგილზე ბიზნესის ამავე სფეროს მსოფლიოში მეორე კომპანიის „ორაკლის“ მეპატრონე ლარი ედისონია. ეს უკანასკნელი 23,5 მილიარდი დოლარის მფლობელია.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან „ფორბსის“ სიაში მხოლოდ რუსეთია წარმოდგენილი. შვიდი რუსი, უფრო სწორედ რუსეთის წარმომადგენელი შვიდი მილიარდერიდან, ყველაზე მდიდარი ნავთობის კორპორაცია იკოს-ის ხელმძღვანელი მიხაილ ხოდოროვსკი ყოფილა და თუმცა უმდიდრესთა სიაში მას „მოკრძალებული“ 101-ე ადგილი უკავია, მის ქონებას მოკრძალებული სულაც არ ეთქმის – 3.7 მილიარდი დოლარი.



ხოდოროვსკის სულ რაღაც სამი მეათედი მილიარდი დოლარით ჩამოუვარდება ცნობილი ბიზნესმენი, ჩუკოტკის ამჟამინდელი „უფროსი“ რომან აბრამოვიჩი (3 მილიარდი დოლარი), მას კი კონსორციუმ „ალფაგურუპას“ ხელმძღვანელი მიხეილ ფრიდმანი მოსდევს თავისი 2,2 მილიარდით. მერე მოდიან ვალდიმერ პოტანინი (1,8 მილიარდი დოლარი), ვლადიმერ ბოგდანოვი (1,6 მილიარდი დოლარი), ვაგიტ ალექპეროვი (1,4 მილიარდი დოლარი). რუსეთის შვიდეულში ყველაზე „ლარიბი“ კომპანიის „რუსკი ალუმინის“ ხელმძღვანელი ოლეგ დერიპასკა აღმოჩნდა, ის „სულ რაღაც“ 1,1 მილიარდი დოლარის მფლობელი ყოფილა. მაგრამ, როგორც „ფორბსი“ აღნიშნავს, რუსეთის „ალუმინის მეფეს“ ყველაფერი წინა აქვს. იგი ჯერ მხოლოდ 33 წლისაა. სხვათა შორის, ჟურნალმა დერიპასკა ეგრეთ წოდებული „ბები-მილიარდერების“ კატეგორიაში შეიყვანა და ამით ხაზი გაუსვა მის ახალგაზრდა ასაკს. მილიარდერთაგან რუსეთის მკვიდრი უმდიდრესი ადამიანები ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდები არიან, მათი საშუალო ასაკი 41 წელია.

**არ ვიცი, უნდა
ვაბრძნობინო თუ არა,
რომ მივხარს**

დიდხანს ვგოვმანობდი, მომეწერა თუ არა თქვენთვის, მაგრამ გადავწყვიტე, ისევ თქვენი ჟურნალისთვის მეკითხა რჩევა. მოკლედ, ერთი ბიჭი შემიფეარდა, ჩვენი სკოლელია, ჩემზე ერთი წლით უფროსია, მეცხრე კლასში სწავლობს. მინდა, რომ თვითონაც იცოდეს, რომ მივევარს, მაგრამ არ ვიცი, როგორ გავაგებინო. წელს სკოლაში დისკოთეკა გვექონდა და მეცეკვა, მაშინ დავაპირე მეთქვა ჩემი გრძნობის შესახებ, მაგრამ ვერ გავებდე. ჩემს მეგობრებს რომ ვკითხე რჩევა, მითხრეს, როგორ შეიძლება, რომ გოგომ პირველმა გაუმჟღავნოს ბიჭს სიყვარული... მე კი არ მესმის რატომ არ შეიძლება და საერთოდ არ ვიცი... მირჩიეთ რა ვქნა.

6160, 14 წლის

დავიწყეთ იმით, რომ გოგონასაც ისევე შეუძლია პირველმა გაუმჟღავნოს ბიჭს თავისი გრძნობა, როგორც პირიქით – ბიჭმა გოგონას. არსად, არავის და არასოდეს დაუდგენია, ვის ეკუთვნის ამ საკითხში პირველობა, შეიძლება რაღაც დრომოჭმული ტრადიციით ვიღაცა მართლაც საძრახისად მიიჩნევს, თუ გოგონა, ქალი ბიჭს, მაკაცს სიყვარულში გამოუტყდება, მაგრამ გვერწმუნე, ეს ყოველად გაუძარტლებელი უგუნურებაა. ისე რომ – თამამად, ნინო, ნუ აყვები შენი დაქალების რჩევას და გადაუშალე გული შენს რჩეულს! შესაფერისი სიტუაცია კი თავად შეარჩიე, სასკოლო დისკოთეკაზე, ცეკვის დროს იქნება ეს, ექსკურსიაზე თუ საერთო ამხანაგის დაბადების დღეზე. სიტყვებს კი გული გიკარნახებს.

**მინდა, სიძარითღე
ვიცოდე**

ამ ზამთარს დედაჩემმა მძიმე ოპერაცია გადაიტანა. მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დასრულდა და ჩემი უსაყვარლესი ადამიანის ჯანმრთელობას აღარაფერი ემუქრება. მაგრამ რამდენიმე თვეა ახალი საფეიქრალი გამიჩნდა. ერთხელ, მაშინ დედა ჯერ ისევ საავადმყოფოში გვეწვა, საავადმყოფოდან რომ ვბრუნდებოდი, კიბის თავზე ჩვენი ორი მეზობელი ქალი შემომხვდა. მივესალმე, დედას ამბავი მეითხეს, მერე რომ გავცდი, ერთერთმა ასეთი სიტყვები დამაწია: „ნეტავ ასე რას განიცდის ეს ბიჭი ამ ქალის ამბავს, ის ხომ მისი ნა-

მდვილი დედა არ არის, ალბათ არ იცის, რომ აყვანილიაო“. კინაღამ გული გამისკდა... მინდოდა მამასათვის მეკითხა, მაგრამ გულმა არ მომიტყუა. იმ დამეს თვალი არ მომიხუჭავს, სულ ვფიქრობდი... რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის მოულოდნელობა იყო, მაგრამ მოვერიე თავს

**ჩასას
მხოლოდ
ღიუჯს
ბაანდოპი**

და არც დედასათვის, და არც მამასათვის არაფერი მიგრძნობინებია. ჩვენს ურთიერთობაში არაფერი შეიცვალა. მაშინაც კი, როცა მე უშუალოდ მათგან ვავიგებ სიძარითღეს, მაგრამ მაინც მინდა სიძარითღე ვიცოდე. ძალიან მიჭირს, არ ვიცი რა ვქნა... დედა კი გამოჯანმრთელდა, მაგრამ მეშინია, ჩემმა შეკითხვამ ცუდად არ იმოქმედოს მასზე.

მე საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ და ვიცი, რომ თუ ვაირყვება, რომ მართლა არა ვარ ამ ადამიანების შვილი, ჩემს სიყვარულს და პატივისცემას მათ მიმართ კიდევ ერთი გრძნობა – მადლიერება დაემატება. ვიღაცამ მიმატოვა, არ მინდოდა, მათ კი მიშვილეს, მშობლიური სითბო და ზრუნვა არ დამკლეს, სიყვარულითა და აღერსით მზრდიან... რა უფლება მაქვს უმადური ვიყო, ზურგი ვაქციო, გული ვატკინო იმით, ვინც შვილად გამზარდეს, მაგრამ სიძარითლის ვაგება ნამდვილად მინდა, როგორი მტკივნეულიც უნდა იყოს, მე სიძარითლე უნდა ვიცოდე.

გელა, 15 წლის

გელა, ძალიან კარგად გვესმის შენი და გეჯერა, რომ ყოველი შენი სიტყვა გულწრფელია. სავსებით ბუნებრივია, რომ სიძარითლის ვაგება გინდა და იმამიც გეთანხმებით, რომ შეიძლება დედამ იმდენად მტკივნეულად განიცადოს, როცა შენთვის სიძარითლის თქმის აუცილებლობის წინაშე დადგება, რომ სანანებელი გაგიხდეს, რატომ ვკითხოვო. იქნებ სჯობდეს ასე მოიქცე – მამას დაელაპარაკე, მას ჰკითხე ყვე-

ლაფერი, რაც გაინტერესებს. მოუსმინე, იფიქრე, გაიხარე... ოღონდ დედას ნუ რაფერს გააგებინებთ, დარჩეს ეს შენი და მამამუნის საიდუმლოდ.

**ცუდია, რომ
პატარაბიძან
მამხანაგობ?**

მე 12 წლისა ვარ, მაგრამ რატომღაც სულ ჩემზე პატარებთან ვამხანაგობ. მეზობლები მეავს 8-9 წლის და იმათთან ვთამაშობ, იმათაც ძალიან მოსწონთ ჩემთან ყოფნა, მე მათ წიგნებს ვუკითხავ ხოლმე. ჩემს პატარა დეიდაშვილებთანაც მივევარს ყოფნა, კლასელები დამცინიან, შენც მაგათნაირი ჭკუა გაქვსო, არც სახლში მოსწონთ, რომ სულ პატარებთან ვარ. ერთხელ ვავიგონე, როგორ უთხრა შეწუხებულმა მამამ დედას, ეს ბავშვი რაღაცნაირად ინფანტილურიაო. მე ამ სიტყვის მნიშვნელობა არ ვიცი, მაგრამ ვხვდები, რომ უმცროსებთან ჩემს მეგობრობასთან დაკავშირებით მიწოდა ასე. მიპასუხეთ, მართლა ცუდია, რომ ჩემზე პატარებთან ვამხანაგობ?


თამუნა, 12 წლის

ჩვენო კარგო თამუნა, ტყუელად დარდობ, ძალიან კარგი თუ პატარებთან ამხანაგობ. შენ ალბათ ვიღაცაზე ზრუნვის, ვიღაცის მფარველობის ძლიერი მოთხოვნილება გაქვს, თუმცა თავად ამას ვერც გრძნობ. არ ის არის გამოცხადებული, რომ შენ საკუთარ თავში დარწმუნებული არა ხარ, თანატოლების დაცინვის გეშინია პატარებთან კი ეს არ გემუქრება. მოდი რა ქენი, თამუნა, იცი, კარგად დაფიქრდი, გაერკვიე საკუთარ თავში, თუ გინდა დედაც დაიხმარე. დაადგინე შენი ხასიათის სუსტი მხარეები, ვთქვათ, ზედმეტი მორიდებულობა, გაუბედაობა, გულჩათხრობილობა, შებოჭილობა, და მათ დაძლევა შეუდექი. დაარწმუნე საკუთარი თავი, რომ არაფრით არ ჩამორჩები შენს ტოლ გოგო-ბიჭებს, თავისუფლად იგრძენი თავი, კამათშიც მიიღე მონაწილეობა, ექსკურსიაზეც იარე მათთან ერთად. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პატარებთან აღარ უნდა იმეგობრო, არამც და არამც, კვლავ იხალისე მათთან ერთად, ოღონდ ნუღარც თანატოლებს განუდგები.

რაც შეეხება სიტყვა „ინფანტილიზმს“, იგი განვითარებაში ჩამორჩენას, მოწიფულობაშიც კი ბავშური ასაკისათვის დამახასიათებელი გარეგნობის ან თვისებების შენარჩუნებას ნიშნავს. თუ ჩვენთვის გამოგზავნილი შენი წერილით ვიმსჯელებთ, შენ ასეთი რამ არ გემუქრება.

საუყუნის ფერია

თქლა
მაისურაძე



რვა წლის თეკლა მაისურაძე რუსთავში ცხოვრობს და იქვე სწავლობს ქართულ გიმნაზიაში. თეკლას ძალიან უყვარს ხატვა, სიმღერა, ცეკვა.

ოთხი წლის იყო, როდესაც როგორც მოდელმა პირველად მიიღო მონაწილეობა ტანსაცმლის ჩვენებაში. მას შემდეგ კი მას ხშირად იწვევენ „ბერიონში“, „მეტეხი-პალასში“ თუ ფილარმონიაში გამართულ წამყვან ქართველ დიზაინერ-მოდელიერთა დეფილემებში მონაწილეობის მისაღებად. თეკლას მანეკენისათვის აუცილებელი ყველა მონაცემი აქვს – მშვენიერი გარეგნობა, საუცხოო მუსიკალური სმენა, რიტმის შეგრძნება, გემოვნება, ლალი, შეუბოჭავი მოძრაობები. პოდიუმზე პროფესიონალი ტოპმოდელივით უჭირავს თავი და ისე შეიშვენებს ხომე წარმოსადგენ ტანსაცმელს, რომ ადვილად ახერხებს დიზაინერის ჩანაფიქრის სრულად წარმოჩენას.

თუ პოდიუმზე გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც გარეგნობას აქვს, თეატრალურ სცენაზე გამოსასვლელად მარტო გარეგნობა არ კმარა. თუ მსახიობის ნიჭი არა გაქვს, მარტო სილამაზე ვერ გიშველის. მშვენიერ თეკლას კი ყველაფერთან ერთად ხალასი სამსახიობო ნიჭიც დაჰყვა. ამაში თავად დარწმუნდებით, თუ, ცხადია, იმ საბავშვო წარმოდგენებს ნახავთ, რომლებშიც თეკლა მაისურაძე მონაწილეობს. პატარა მსახიობი ბოლომდე წვდება და ითავისებს თავისი გმირის ხასიათს, რეჟისორის ჩანაფიქრს როლის თავისუფალ გააზრებას უსადაგებს და მართლაც დასამახსოვრებელ სახეებს ქმნის. მომხიბვლელი, ცოტა მიაშიტი და ცოტა ეშმაკუნა მისი წუნა სპექტაკლში „წუნა და წრწუნა“, სიყვარულის გრძობითაა გასხივოსნებული მშვენიერი ქეთო „ქეთო და კოტეში“, კეთილი და მწყაზარია პრინცესა „თოვლის დედოფალში“.

შარშანწინ ექვსი წლის თეკლა მაისურაძემ მონაწილეობა მიიღო „შერატონ-მეტეხი პალასში“ გამართულ სილამაზის კონკურსში „ფერია-2000“ და გაიმარჯვა კიდევ. მას ერთხმად მიანიჭეს წოდება „საუკუნის ფერია“.

თამარ ყულიჯანაშვილი


და
მარიამ აბულაძე

ცხადია, ამ სურათებით გაგიჭირდებათ წარმოიდგინოთ თუ როგორ გამოიყურებიან თამარ ყულიჯანაშვილი და მარიამ აბულაძე, სამაგიეროდ, იმას ადვილად მიხვდებით, რომ ორივენი კარგი მსახიობები არიან. ასე რომ არ იყოს, განა ნაწილობრივ თანამედროვე ჩასაცმელ-დასახურის მიუხედავად, ასე შეუცდომლად გამოიცნობთ, რომ



თქვენ წინაშე ლუარსაბ თათქარიძე და მისი „ტურფა“ მეუღლე დარეჯანი არიან?! თამარიცა და მარიამიც დაბა აბასთუმნის საშუალო სკოლის მეოთხეკლასელები არიან და ორივენი პირველი

კლასიდან მხოლოდ „ფრიალებზე“ სწავლობენ, თქვენ წარმოიდგინეთ, ჯერ ერთი ოთხიანიც კი არ მიუღიათ. მეგობრები მუსიკაზეც დადიან, სიმღერაზეც და ცეკვაც ორივეს ერთნაირად უყვარს. გოგონების კიდევ ერთი საერთო გატაცება კი თეატრი, კერძოდ მსახიობობაა. პატარა არტი-



სტები ისე ოსტატურად ანსახიერებდნენ ლიტერატურულ გმირებს, ისე ბუნებრივად, ძალდაუტანებლად მოძრაობენ და მეტყველებენ იმპროვიზირებულ სცენაზე, რომ ლამის პროფესიონალ მსახიობებს არ ჩამოუვარდებიან. თამარისა და მარიამისათვის სცენა ხან საკლასო ოთახია, ხან ეზო და ხანაც ქუჩა. მაყურებლები არასოდეს აკლიათ, მაგრამ ყველაზე მეტად მათი ხელოვნება თანაკლასელ გოგო-ბიჭებს მოსწონთ. უნდა გენახათ, როგორი სიცილი ატყდა თეატრის დარბაზად ქვეულ საკლასო ოთახში, როცა უღვაშებდახატული და ღიბადებული მარიამი – ლუარსაბი და ლოყებაღაჟღაჟებული და თვალ-წარბმობატული თამარი – დარეჯანი გამობლაყუნდნენ. ბოლოს კი როცა ცოლ-ქმარმა „ბრძნული“ საუბარი გააბა, ხარხარს ველარავენ ივაკებდა.

დამთავრდა „ნაკადულის“ ვიქტორინა – კონკურსი და უნდა გითხრათ, რომ შედეგებმა ძალიან გაგვახარა. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მიღებულმა პასუხებმა დაგვარწუნა, რომ მონაწილეებს სერიოზულად უმუშავიათ, ბევრი უძებნიათ, დიდძალი საცნობარო ლიტერატურა გადაუფურცლავთ, ეს კი თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენმა ვიქტორინამ მთავარ მიზანს მიაღწია და ნამდვილად დაგეხმარათ ცოდნის გამდიდრებაში, თვალსაწიერის გაფართოებაში.

ვიქტორინის ორივე ეტაპის 22 კითხვიდან ბევრზე ყველა მონაწილემ სწორი და ამომწურავი პასუხი გასცა, ზოგზე მხოლოდ რამდენიმემ უპასუხა სწორად, ხოლო ერთადერთი კითხვა, რომელზეც ყველა მონაწილემ ერთნაირად მცდარი პასუხი გასცა, პირველი ეტაპის მე-9 კითხვა იყო. შემოთავაზებულ ფოტოსურათზე აღბეჭდილია არა მარი სკლადოვსკა-კიური, არამედ შვედი მწერალი ქალი სელმა ლაგერლოფი.

ასევე ძალიან მოგვეწონა თქვენ მიერ შემოთავაზებული კითხვების უმრავლესობა, მომავალში ჩვენ მათ უთუოდ გამოვიყენებთ.

გულმოდგინედ გავეცანით ყველა პასუხს, ვიფიქრეთ, ვიმსჯელებთ, პირუთვნელად ავწონ-დავწონეთ ყოველი დეტალი და გზავნიყვიტეთ: რადგან ორი ეტაპის ჯამში ქულათა მაქსიმუმი ვიქტორინის ვერც ერთმა მონაწილემ ვერ დააგროვა, პირველი პრემია არ მიენიჭოს არც ერთ მონაწილეს, პრიზიორთა დასაჯილდოვებლად განსაზღვრული თანხა კი ასე გადანაწილდეს: ერთი II პრემია – 30 ლარი, სამი მესამე პრემია – 15-15 ლარი.

ახლა კი გაგაცნობთ გამარჯვებულ „ჭკუის კოლოფებს“:

ქეთევან ბიაშვილი, გურჯაანის მე-3 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე – II პრემია.



ნინო კობახიძე, თბილისის 141-ე საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე, ნაძალადევის რ-ნის მოსწავლეთა სახლის ესპერანტოს კლუბ „ფლოროს“ წევრი – III პრემია;

ელისო მღებრიშვილი, გორის რაიონის სოფელ ქვახვრელის საშუალო სკოლის Vb კლასის მოსწავლე – III პრემია;

ზურაბ შენგელია, ქ. ზუგდიდი, VI კლასის მოსწავლე, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ნორჩ ინტელექტუალთა ჯგუფ „ირისეს“ წევრი – III პრემია.

ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ნორჩ ინტელექტუალთა ჯგუფ „ირისეს“ წევრები, დიმიტრი ხარებავა, V კლასის მოსწავლე, ანა ძიმისტარაშვილი VIII კლასის მოსწავლე – ნამახალისებელი პრიზები.

ვულოცავთ გამარჯვებულ „ჭკუის კოლოფებს“ წარმატებას, კონკურსის ყველა მონაწილეს კი მადლობას ვუხდით და ყველას ერთად კვლავაც გინვევთ „ნაკადულის“ მომავალ კონკურსებსა თუ ვიქტორინებში მონაწილეობის მისაღებად.



სწორი პასუხები
პირველი ეტაპი

1. *მსოფლიოში თოთხმეტი ანბანია: არაბული, ბერძნული, ებრაული, ეთიოპური, იაპონური, ინდური, კორეული, ლათინური, მონღოლური, სირიული, სლავურ-კირილური, სომხური, ქართული, ჩინური.

3. ფოტოსურათზე აღბეჭდილია აკაკი წერეთელი

4. ჰაერში ყოველი სხეული წონაში იმდენს იკლებს, რამდენსაც ინონის მის მიერ გამოდევნილი ჰაერი. აქედან გამომდინარე – ხეც და რკინაც კარგავს თავისი წონის ნაწილს. ერთი ტონა რკინის ჭეშმარიტი წონა უდრის ერთი ტონა+ჰაერის ის წონა, რომელიც რკინამ გამოდევნა. ასევე ერთი ტონა ხის ჭე-

შმარიტი წონა უდრის ერთი ტონა+ჰაერის ის წონა, რომელიც ხემ გამოდევნა. ერთი ტონა ხე თხუთმეტჯერ მეტი მოცულობისაა, ვიდრე ერთი ტონა რკინა, ამიტომ ერთი ტონა ხის ჭეშმარიტი წონა მეტია ერთი ტონა რკინის ჭეშმარიტ წონაზე.

უფრო ზუსტად: იმ ხის ჭეშმარიტი წონა, რომელიც ჰაერში ერთ ტონას ინონის, მეტია იმ რკინის წონაზე, რომელიც ჰაერში აგრეთვე ერთ ტონას ინონის. ერთი ტონა რკინა ჰაერში იკავებს 1,8 კმ მოცულობას, ხე კი – 2 კმ. მოცუ-

ლობას, მათ მიერ გამოდენილი ჰაერის ნონის სხვაობა უდრის 2, 5 კილოგრამს. ამრიგად, სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნა სწორი იყო.

5. ესპერანტოს გარდა არსებობს კიდევ რამდენიმე ხელოვნური საერთაშორისო ენა, კერძოდ — ვოლაპუკი, იდო, ოქსიდენტალი და სხვა.

6. როგორც ცნობილია, პირველად მაგელანმა შემოუარა ამერიკას სამხრეთიდან და ევროპელებისათვის უცნობ ოკეანეში გავიდა. ცეცხლოვან მინასთან სამინელი ქარიშხალი მძვინვარებდა, მაგელანის გემები ძლივს გადაურჩა ბოქორ ტალღებს.

გადატანილის შემდეგ მებლვაურებს ნამდვილ სამოთხედ მოეჩვენათ უცნობი ოკეანე, სადაც იმხანად ქარი არ ქროდა. ისე რომ, მსოფლიოში უდიდეს და ყველაზე მშფოთვარე ოკეანეს შემთხვევით დაერქვა „წყნარი“.

8. საქართველოს სპორტსმენებმა პირველად XV ოლიმპიურ თამაშებში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც 1952 წელს ჩატარდა ქალაქ ჰელსინკიში. ამ ასპარეზობაში საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრებების შემადგენლობაში მონაწილეობდნენ: ნინო დუმბაძე (ბადროს ტყორცნა, ბრინჯაო), ნადეჟდა დვალიშვილი (200 მ. სირბილი, ბრინჯაო) ლევან სანაძე (ამანათმრებელი 4X100 მ. გუნდური ვერცხლის მედალი), ელენე გოკიელი (მძლეოსნობა), დავით ციმკურიძე (თავისუფალი ჭიდაობა, ოქროს მედალი), ოთარ ქორქია (კალათბურთი, გუნდური ვერცხლი), ნოდარ ჯორჯიკია (კალათბურთი, გუნდური ვერცხლი), ავთანდილ ლოლობერიძე (ფეხბურთი), ავთანდილ ჭკუასელი (ფეხბურთი) რაფაელ ჩიმიშვიანი (ძალოსნობა, ოქრო), არსენ მეკოკიშვილი (მოსკოვიდან, თავისუფალი ჭიდაობა, ოქრო), მ. ჯუღელი (ტანვარჯიში, გუნდური ოქრო).

9. ფოტოსურათზე აღბეჭდილი ნობელის პრემიის ლაურეატი ქალბატონი შვედი მწერალი, თქვენთვის კარგად ცნობილი „ნილს ჰოლგერსონის თავგადასავლის“ ავტორი სელმა ლაგერლოფი გახლავთ.

10. სიკვდილმისჯილმა ყუთიდან ერთი ფურცელი ამოიღო, სასწრაფოდ დაჭმუჭნა და გადაყლაპა. ხოლო რადგან ყუთში დარჩენილ ფურცელზე „სიკვდილი“ ეწერა, სასამართლომ გადანყვიტა, სიკვდილმისჯილს „სიცოცხლე“ გადაუყლაპიაო და გაათავისუფლა იგი.

11. შოთა რუსთაველის ძეგლი მოსკოვში 1966 წელს დაიდგა. მისი ავტორია ქართველი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი

12. დარტანიანის და მისი მეგობრების დევიზია: „ერთი ყველასათვის, ყველა — ერთისათვის!“

1. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტის და მუსიკის ავტორია კომპოზიტორი ვკრატე ფოქაძე ცხვერაშვილი.

2. ნივთიერება, რომელიც ფოთლებს ნითელ ფერს აძლევს, იმ ფოთლებში წარმოიქმნება, რომლებშიც მეტი შაქარია. მცენარეს, რომელიც მეტი შაქრის შემცველი ნივთიერებების მომარაგებას ახერხებს, ნითელი ფოთლები აქვს, ხოლო რომელშიც ნაკლები ასეთი ნივთიერებაა, იმ მცენარეს შემოდგომაზე ფოთლები უყვითლდება.

3. ლიმონის ორდენის დამაარსებლები, შემქმნელები და მიმნიჭებლები პოლონელი ბავშვები არიან. ბავშვების წარდგინებით ამ ორდენით აჯილდოებენ იმ უფროსებს, რომლებიც პატარებზე ზრუნავენ, სიხარულს ანიჭებენ მათ.

4. 1787 წელს იმერეთის მეფემ, დავითმა ბესიკს საგანგებო მისია დაავსრა: რუსეთისთვის მფარველობის თხოვნა და ისეთივე ტრაქტატის გაფორმება, როგორც რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დაიდო. ბესიკი ჯერ კრემენჩუგში ჩავიდა, სადაც რუსეთის ჯარის სარდალი ფელდმარშალი პოტიომკინი იმყოფებოდა, მერე მის ბანაკთან ერთად კიშინიოვში ჩავიდა, მერე კი იასში და იქვე გარდაიცვალა.

5. „ერი, ერთის ღვანლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული — ერთსულოვნებით, ერთგულებით ძლიერია“ — ეს სიტყვები ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

6. რევამ ინანიშვილის მოთხრობის „უკუღმა დაჭედილის“ გმირ ბიჭს, რომელიც კონონაშვილებს დაენაძლევა, მწარე წინაკებს უპუროდ შევეჭამო, ვხივა ერქვა.

7. რუმე, ნაკადულზე თუ არხზე გადასვლისას ჭიანჭველები ფეხებით და ყბებით ეჭიდებიან ერთმანეთს, ცოცხალ ხიდს აკეთებენ, ამ ხიდით გადადიან გაღმა ნაპირზე მათი დანარჩენი თანამოძმეები.

8. ცხვრების ზნიდან გამომდინარე, ტყის პირას აღარცერთი მათგანი არ დარჩებოდა.

9. პირველი ქართული ტექსტით ნაბეჭდი წიგნი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ დაიბეჭდა რომში 1629 წელს. მისი ავტორები არიან იტალიელი პატრი სტეფანე პაოლინი და ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი.

10. იგულისხმება მამა-შვილი ნიკო და გიორგი ნიკოლაძეები.

ჩინეთი

თეატრი ნარკომანიის წინააღმდეგ

სადღეისოდ ჩინეთში ოფიციალურად დარეგისტრირებულია 900 ათასი ნარკომანი, რომელთა დიდ უმრავლესობას ახალგაზრდები შეადგენენ. სამხრეთ ჩინეთის გუანსი-ჩჟუანის ავტონომიური რაიონის ხელისუფალთა განწყობის შეფასების საშუალებით ებრძოლონ ნარკომანიას. რაიონის დედაქალაქის, ნანინის ქუჩებსა და მოედნებზე სკოლის მოსწავლეებისთვის იმართება სპეციალური სპექტაკლები, რომლებიც ნარკომანთა მწარე ხვედრზე მოუთხრობენ მაყურებლებს. მაგალითად, ერთ-ერთ ნარკომანში მოთხრობილია მოსწავლე გოგონაზე, რომელიც ბოროტმოქმედთა ბანდაში აღმოჩნდა, განარკომანდა, მერე კონტრაბანდისტთა თანაშემწეც გახდა, საბოლოო ჯამში კი ციხეში მოხვდა. მოსწავლეები ინტერესით უყურებენ ამგვარ სპექტაკლებს.

იაპონია

კინოში ნანახის ნაბაჰვით

იაპონიის კუნძულ სიკოკუს პოლიციამ წინასწარი პატიმრობის საკანში უკრა თავი 14 წლის მოზარდს, რომელიც სამგზავრო თვითმფრინავის აფეთქების მუქარის გამო დააკავეს. ეს მუქარა ბიჭმა ელექტროფოსტით გაუგზავნა იაპონურ ავიაკომპანია ანას. წერილში ეწერა, რომ კომპანიის იმ თვითმფრინავის ბორტზე, რომელიც ტოკიოდან სამხრეთ კუნძულ ოკინავაზე მიფრინავდა, ბომბი იყო. წერილის ავტორი იტყობინებოდა, რომ თუ თვითმფრინავი 1000 ფუტზე ნაკლებ სიმაღლეზე დაემშვებოდა, ბომბი უმალ აფეთქდებოდა. საბედნიეროდ ლაინერი, რომელშიც 282 მგზავრი და ეკი-

პაჟის 8 წევრი იჯდა, მშვიდობიანად დაეშვა ოკინავას ადმინისტრაციული ცენტრის აეროდრომზე. პოლიციამ ხუთი საათი მოანდომა თვითმფრინავის საგულდაგულოდ დათვალიერებას, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა, თუმცა ყოველი შემთხვევისთვის ოკინავა-ტოკიოს რეისი გადაიდო. დაკითხვაზე ამ აურზაურის ამტეხმა მოზარდმა განაცხადა, რომ ამგვარი სცენარი კინოში ნახა და უბრალოდ გადანიჭა თვითონაც მიებადა.

ინგლისი

რატომ აცვეს ჯვარს ქრისტე

საზოგადოება გააოგნა სოციალოგების მიერ 15 წლის ასაკამდე მოსწავლეთა შორის ჩატარებული გამოკითხვის პასუხებმა. ბავშვებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე: „რატომ აცვეს ჯვარს იესო ქრისტე?“. აი როგორი პასუხი გასცა ამ კითხვას ერთი 7 წლის გოგონამ: „ქრისტე უნდა მომკვდარიყო, რადგან პრემიერ-მინისტრს ანუ პილატე პონტოელს არ უყვარდა იგი. მას იმიტომ არ უყვარდა ქრისტე, რომ ის ყველას უყვარდა, პრემიერ-მინისტრი კი – არავის“. შვიდი წლის ბავშვის მიერ ამგვარად ინტერპრეტირებული ეს ბიბლიური ისტორია ბევრს შეაძრწუნებდა, მაგრამ მოსწავლეთა სხვა პასუხებთან შედარებით იგი ყველაზე საუკეთესო გამოდგა. დანარჩენი პასუხები ასეთი იყო: „ქრისტე იმიტომ აწამეს, რომ იგი რომელიმე ლეგიონერმა გასცა“, „იმიტომ, რომ ეგვიპტელები საერთოდ ყველა ჩვილ ბავშვს ხოცავდნენ“, „იესოს ერთი ღმერთი სწამდა, დანარჩენს კი მიაჩნდათ, რომ რამდენიმე ღმერთი არსებობს“, „იმიტომ რომ ქრისტე ყველას ნერვებს უშლიდა“, „უბრალოდ იმისათვის, რათა ყველასთვის ეამებინათ“. ერთმა ბიჭმა

კი განაჩენის მიზეზი უჩინესად ეროვნებას დაუკავშირა, თუმცა იქვე დასძინა, რომ შეიძლება შეეშალა და ბიბლიური ისტორია მეორე მსოფლიო ომზე გადაღებულ ფილმში აერია.

შედარებით უკეთესად უპასუხეს გამოკითხვულმა ყმაწვილებმა კითხვაზე, თუ რა ჰქონდა ქრისტეს თავზე ჯვარზე გაკვრის მომენტში. საერთო სურათი მარტო რამდენიმე ბიჭმა გააფუჭა, რომლებმაც განაცხადეს, მაცხოვარს თავზე ვარდების თუ ფითრის გვირგვინი ეკეთათ.

მონღოლეთი

13 წლის კრიმინალური ტალანტი

ულან-ბატორის პოლიციამ დააკავა ბოროტმოქმედი, რომელმაც ბანკიდან 10 მილიონი ტუგრიკი (დაახლოებით 10 ათასი დოლარი) გაიტაცა. ქურდი აღმოჩნდა... 13 წლის გოგონა სახელად იჩინსორდო, რომელიც დედაქალაქის გარეუბანში ცხოვრობს. იჩინსორდო შესვენებამდე ოდნავ ადრე შევიდა ბანკში, დაიცადა, ვიდრე მისი თანამშრომლები საქმელად გავიდოდნენ, სალაროს მაგიდიდან ფული აიღო და აუღელვებლად დატოვა ბანკი. თუმცა კრიმინალური მიდრეკილებების გამო გოგონა ოთხი წელია არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, იგი მაინც ახერხებს ქურდობას. როგორც თავად გამოტყდა, იჩინსორდო 10 წლის ასაკიდან ქურდობს და ამასთან ძალიან მარტივად იქცევა – უბრალოდ შედის დაწესებულებაში და რასაც მაგიდაზე პოულობს, მიაქვს. ასე მოიპარა 3 მილიონი ტუგრიკი ინგლისური ენის ინსტიტუტის მენეჯერის კაბინეტიდან, 400 ათასი და რალაც-რალაც ნივთები – ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიის მდივნის ოთახიდან.



როდის ენეგა ადამიანს სიყვარული? რომელს ეთქმის სიყვარულის ასაკი?

ვინ იცის...
13-14 წლის, ანუ დაახლოებით თქვენი ტოლები იყვნენ რომელი და ჯულიეტა, თავდავიწყებით რომ შეუყვარდათ ერთმანეთი...

გაცილებით მოზრდილები იყვნენ თინათინი და ავთანდილი, ნესტან-დარეჯანი და ტარიელი ერთმანეთის სიყვარულმა რომ შეიპყრო...

ჭარმაგი გახლდათ გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ტურფა ასულისადმი დაუთუებელმა გრძნობამ თავგზა...



ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი სულ ჭაბუკი არ გააოგნა ეკატერინეს სიღიადემ?... თავისზე თითქმის ოთხჯერ ახალგაზრდა ყმაწვილ ქალზე შეყვარებულმა ბრძენმა გოეთემ კი ლამის ოთხმოცი წლისამ დაკარგა ჭკუა-გონება...

ლამაზი, სათუთი გრძობით უყვარდათ ერთმანეთი სიცოცხლის ბოლომდე შესანიშნავ ქართველ პოეტს სიმონ ჩიქოვანს და მის მეუღლეს ქალბატონ მარეკას. მას უთხრა სიცოცხლის მიწურულს თვალის ჩინდაკარგულმა პოეტმა: „ვაი, ველარ ვხედავ მზეს,

როცა შენ ვერ გხედავ...“
აი დიდი გალაქტიონსაც აღმოხდა: „უსიყვარულოდ არ არსებობს არც სიღამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ...“

თქვენცენ როგორდაა საქმე? ვერ არავინ შეგყვარებიათ? არც არავინ გამოგტყდომიათ მიყვარხარო?

არა?
ოო, რომ იცოდე, რა ცუდია! უსათუოდ უნდა გიყვარდეთ და უნდა უყვარდეთ...

სხვაგვარად ქვეყანა ნაცრისფერად მოგეჩვენებათ!

სხვაგვარად არაფერს ექნება ახრი! სხვაგვარად... სხვაგვარად... სხვაგვარად...

შოთა ნიჟნიანიძე

ისეთი ვინმე რომ შემხვდებოდეს,
გამიღვიძებდეს წამით იმედებს,
ჩემი წხოვრების შემოდგომამდე
ერთ აპრილს მაინც წამიკიდებდეს,
მასულოლებდეს, მიზნევდეს თავგზას
მისი თვალების ჩუმი ბრძანება,
გოშიასავით ატეხდეს ნკავკნკავს
ჩემი ლომური ამპარტავნება,
არ დავირხვენიდი გითხრათ, სიმათლე,
არა და არა, არ დავირხვენიდი,
ოლონდ მიყვარდეს,
მართლა მიყვარდეს
გახელოებამდის... თავდავიწყებით...
ოლონდარ, ღმერთო, გარდასულო ყრმობის
ისევ მარგუნე ურხო თრიაქი,
ის ღვთაებრივი მარდყური თრობა,
შიში, რახრახი და ფორიაქი...

ნოდარ ადიუშვილი

სიმღერა

სოფლის თავს სამი წყაროა,
სამი სარკა, ლელი!
ერთში შენ ჩანხარ,
ერთში - მე,
ერთში - ჰეჰელა ჭრელი.
ვისია
რისკრის რიაგი,
ვარდი
ტურფა და მწველი.
გიყვარვარ -
რა უბრალოა,
მიყვარხარ -
რარიგ ძნელია.

ტარიანტი ბრანელი

გაზაფხულის სალამო

გაზაფხულის სალამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.
სული საზღვარს გადასრდებ ფრენით
ახლოვ მახსოვს მისამართი შენი.
რამდე ნვდებ ღამეების სიგრძე.
რატარ დიდი სინარული ვიგრძენ,
ნინ მეშლონა სხვა ორენების არე.
მინის ქქერით დაიღალა მთვარე.
გაზაფხულის სალამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

მედა კახიძე

მე როჯა ვუყვარვარ ვისმე

მე როჯა ვუყვარვარ ვისმე,
ვარ ზედნიერი და ხალასი;
მინიდან უნო ზალასის
ხამამალა ლაპარაკს ვისმენ,
შევრინი რასა და ქვეყანას,
მე როჯა ვალმერთებ ვისმე,
მე როჯა ვუყვარვარ ვისმე,
ვმალლოდები, ვით რაში სამრეკლო;
მსურს რისკრის ზარებდად დამრეკონ,
ვირინი ისევ და ისევ.
ვულიმი გამვლელოს და გამომვლელოს,
მე როჯა ვუყვარვარ ვისმე,
მე თავი მგონია მაშინ
ყველა ტკივილების მომრევი,
ვარ დიდი სიმღერის მორევი,
ვარ ენატიკტიკა ზავშვი
და ყველა ლამაზი სიმღერა
მე ჩემი მგონია მაშინ.

რატომ ვაშბოვთ ასე?

ყვითელი პრესა. ეს გამოთქმა, რომელიც დაბალსარიისხოვანი, ცრუ, ყოველგვარი იაფფასიანი სენსაციის მაძიებელ პრესასთან დაკავშირებით იხმარება, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიბადა. 1895 წელს ამერიკელმა მხატვარმა-გრაფიკოსმა რიჩარდ აუთოქოულტმა ნიუ-იორკული გაზეთის „The World“-ის რამდენიმე ნომერში დაბეჭდა ფრივოლური სურათების სერია, რომლებსაც იუმორისტული ტექსტი ახლდა თან. რამდენიმე სურათზე აღბეჭდილი იყო ყვითელპერანგიანი ბავშვი, რომელიც რამდენიმე თავშესაქცევ გამონათქვამს სთავაზობდა მკითხველს. მალე ამგვარი ნახატების ბეჭვდა დაიწყო კიდევ ერთმა ამერიკულმა გაზეთმა — „New York Journal“-მა და „ყვითელ ბიჭთან“ დაკავშირებით ამ ორ გაზეთს შორის ატყდა დავა. 1896 წელს „New York Press“-ის რედაქტორმა ერვინ უორდმენმა თავის ჟურნალში დაბეჭდა სტატია, რომელშიც ორივე კონკურენტ გაზეთს აგდებით უწოდა „ყვითელი პრესა“. სწორედ ამის შემდეგ გავრცელდა ეს გამოთქმა მთელ მსოფლიოში.

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია. ეს გამოთქმა ძველრომაელი პოეტის იუვენალის მე-10 სატირიდანაა, სადაც ნათქვამია „ლოცვა გვმართებს, რათა გონება (სული) ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი იყოს“. იხმარება როგორც ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიული განვითარების აღმნიშვნელი ფორმულა.

ოძროს შუალედი. — ასე ამბობენ ისეთი გადანყვეტილების, მოქმედების შესახებ, რომელიც მოკლებულია უკიდურესობას, რისკს.

შენც, ბრუტოს? — შექსპირის ტრაგედიაში „იულიუს კეისარი“ მომაკვდავი კეისარი ამ სიტყვებით მიმართავს ბრუტოსს, რომელიც სხვა შეთქმულებთან ერთად დაესხა თავს სენატში. ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ ფრაზა ლეგენდარულია. მარკუს იუნიუს ბრუტუსი, რომელიც კეისარის მომხრედ ითვლებოდა, სათავეში ჩაუდგა მის სანიხალმდეგო შეთქმულებას და მისი მკვლელობის ერთ-ერთი მონაწილე გახდა. (ჩვ. ნელთალრიცხვამდე 44წ.) როცა კეისარს პირველი ჭრილობა მიაყენეს, მან მხოლოდღა ამოიოხრა და არაფერი უთქვამს, მაგრამ მერე, მახვილალმართული ბრუტოსის დანახვამზე ბერძნულად შესძახა: „შენც, შვილო ჩემო?“ შექსპირის ტრაგედიაში ნახმარი კეისარის ეს ლეგენდარული ფრაზა ფართოდ გავრცელდა და მეგობრის მოულოდნელი ღალატის დასახასიათებლად იხმარება.

კართაგენი უნდა დაინგრეს. როგორც პლუტარქე გვიამბობს, რომაელი მხედართმთავარი კართაგენის დაუძინებელი მტერი და სახელმწიფო მოღვაწე კატონ უფროსი ყოველ თავის გამოსვლას სენატში ამ სიტყვებით ამთავრებდა. დღეს ეს ხატოვანი გამოთქმა იხმარება როგორც დაჟინებული და ხშირი მოწოდება მტერთან ან რაიმე წინააღმდეგობასთან მედგარი ბრძოლისკენ.



სიტყვის კონა

- ტაბაპი** — ხის მოზრდილი, სინისმაგვარი თეფში, რომელსაც ჩვეულებრივ ხორბლის სარკვევად ხმარობენ.
- ტაბარშპი** — უქონელი, ღარიბი, დატაკი.
- ტანჯაპურიანი** — კოხტა, მოხდენილი.
- ფარლული** — მარგალიტის ყელსაბამი; ყელზე ჩამოსაკიდი სამკაული.
- ფაფხაჭა** — თონის პურის თხელი, გამხმარი გვერდი; თონეზე მიმხმარი პურის ქერქი.
- ფშა** — მდინარის პირას გამომდინარე წყარო.
- ძატიბი** — ქალის ბეწვმოღებული ზედა ტანსაცმელი.
- ძაროცი** — აჩქარებული, ისეთი აღამიანი, რომელიც უბრალო რამეს გაიოცებს.
- ძარჭრელი** — ერთმანეთში არეული ქერი და ხორბალი.
- ჩიჩპირი** — ცხენისა და მისთანა ქვედა ტუჩი. გრძელი ბიბილოსებრი წამონაზარდი ინდაურის თავზე.
- ჩინჩხარი** — წვრილი, ხმელი ტოტები, წვრილი ფიჩხი.
- ჩხნღი** — მდინარეში ჩახერგილი წვრილი ხეები.

სვინი სვლოინდელო მკითხველები



ანა ჯირვალნიძე

ემზარ ბეზია

ცოტაც და ანა სამი წლის გახდება. თვითონ ყოველდღე იზრდება, ზინა ბებოს კი აახალგაზრდავებს და აახალგაზრდავებს, ახალისებს, სულ ეტივტივება, არ ასვენებს, უამრავ რამეს ეკითხება, ზღაპრებს აყვავებს, წიგნებს აკითხებს, თვითონაც სხაპასხუპით უამბობს ათას რამეს - გაგონილს თუ გამოგონილს, ლექსებსაც სულმოუთქმელად ჩაურაკრავებს ხოლმე. დაღონებულს ან შეწუხებულს რომ დაინახავს, ისე შეხედავს, ისეთ სიტყვებს ეტყვის, აუცილებლად გაამხიარულებს, გააცინებს და სატიკივარსაც გაუქარწყლებს.

ეს მხიარული ბიჭი სენაკელი ემზარ, ემიკო ბეზიაა. ემიკო მარიამობის თვეშია დაბადებული, ესე იგი, მისი ზოდიაქოს ნიშანი ლომია. როგორც მშობლები და ახლო ნათესავები ირწმუნებიან, ბიჭი ნამდვილი ლომის ბოკვერია - მხიარული, ბედნიერი, მოუსვენარი და ანცი. სულ მოძრაობს, სულ დარბის. უყვარს გართობა და მეგობრებთან თამაში. ზომ ერთი ციციქნაა, მაგრამ ღირსების და სიამაყის გრძნობა რომ აქვს, ახლავე ეტყობა. თქვენ წრმოიდგინეთ პატივმოყვარეცაა, სიყვარულს და პატივისცემას როგორც დამსახუ-



კუდრაჭა ანას სიმღერაც ძალიან უყვარს და ცეკვაც, სულ მოძრაობს, დახტის, კუნტრუშობს, ენას არ აჩერებს. მარტო „მამაო ჩვენოს“ რომ წარმოთქვამს, მამინ დაოდეა ხოლმე, სერიოზული სახით შეუცდომლად ჩაამთავრებს ხოლმე ლოცვას, პირჯვარსაც გადაიწერს და მერე ისევ ის კუდრაჭა ანა ხდება. უამრავი ლექსი და სიმღერა იცის. ხეწნა-მუდარა სულ არ სჭირდება, არც დამორცხვება იცის, სიამოვნებით გიმღერებთ და ლექსსაც თვალების ეშმაკური წკურვით წაგვითხავთ. „25-ს დეკემბერსაო“ რომ წამოიწყებს ნაზი ხმით, პატარა ანგელოზს ემსგავსება. ანას ყველაზე ძალიან დედიკო და ზინა ბებია უყვარს. ახლა ბებიასაც ჰკითხეთ - შეილიშვილით იწყება და მისით მთავრდება ქალბატონ ზინა ლობჯანიძისთვის ყოველი დღე, ის ულამაზებს და უცისკროვნებს ცხოვრებას, ის არის მისთვის ბედნიერება და სიხარული, მისი სიცოცხლე. ამიტომაც ულოცავს დაბადების დღეს და კოცნის, კოცნის ბევრს, ბევრს.

რებულს, ისე იფერებს. ემიკომ უამრავი ლექსი და ზღაპარი იცის, მღერის და ცეკვავს კიდევაც. უყვარს სათამაშოები, საჩუქრების მიღება და... შოკოლადი, მაგრამ ყველაზე ძალიან ბებია - ბაბუები უყვარს და სულ ჰპირდება მათ, ჯანმრთელი, ჭკვიანი, სასახელო, კეთილი და შრომისმოყვარე კაცი გავიზრდები და თქვენც გაგახარებთ და სამშობლოსაცო. ენახოთ, ჯერჯერობით კი პატარა ემზარი თავისი კარგი ბიჭობით, ხალისიანობითა და გონიერებით ახარებს ყველას. მარიამობის თვე ახლოვდება და ემიკოც ოთხი წლის გახდება. მშობლები, ბებია-ბაბუები, მამიდა გულითადად ულოცავენ მას დაბადების დღეს, უსურვებენ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ნათელ მომავალს.

ვახსნაღებთ ლიბერალურ კონკურსს

გახდით ჩვენი თანაავტორები

ჩემს პლანეტას ჰქვია...

— ხომ გეუბნებოდი, ნუ უყიდი-მეთქი... აი, ამიტომ არ მინდოდა ეს ოხერი კომპიუტერი... მთელი კლასისა და ეხოს გოგო-ბიჭები ხომ ლამის დაღამებამდე აქ არიან, ისინი რომ გაიყრიან, ახლა მართო მიუჯდება. აღარც ჭამა, აღარც გაკვეთილები, აღარც ინგლისური, აღარც წიგნი — ქვეყანაზე აღარაფერი ახსოვს, გამოთაყვანებული მისწერება დისპლეია თუ რაღაც ჯანდაბა და რამდენიც გინდა ელაპარაკე, არაფერი ესმის, ვერ მოაცილებ... არ ვიცი, უკანასკნელად გეუბნები, თუ შენ არაფერს იღონებ, იცოდე, ავილებ და მოვისვრი ამ შენს კომპიუტერს და მორჩა!... — შინ შემოსვლა აღარ დააცალა დედამ მამას, ისე მიაყარა.

— რა იყო, ამოსუნთქვა მაინც დაგეცლია!.. — უსაყვედურა ცოლს დიმიტრიმ, ფლოსტებს დასწვდა და სავარძელში ჩაჯდა.

— გეგა! — აუღელვებლად გასძახა შვილს.

— ჰმ, ერთბაშად არ გააგონო! — ირონიულად ჩაიციხა დედამ.

— გეგა! — მამას ხმაში ბრაზი გამოერია და როცა ვერც ამჯერად მიაწვდინა შვილს ხმა, წამოდგა და მისი ოთახისკენ წავიდა.

— შენ რა, არ გესმის, რომ გეძახიან?! მართლა ხომ არ გინდა, უკომპიუტეროდ დაგტოვო?! — თავზე წაადგა ბიჭს გაღიზიანებული დიმიტრი.

გეგამ ძლივს მოსწყვიტა თვალი დისპლეის და რომ შეატყო, მამა აღარ ხუმრობსო, თავის მართლება დაიწყო:

— რა, მამი, რა იყო, თხუთმეტი წუთი იქნება, რაც დაკვკეპი...

— გამაგიჟებს ეს ბავშვი, ტყუილებიც რომ ისწავლა?! — გაწიწმატდა დედა.

— მოიცა, ნესტან, დაწყნარდი... მოკლედ ასე, ხვალიდან ასეთი გრაფიკი გექნება: სკოლის მერე ერთი საათი — სამიდან ოთხამდე და საღამოს ნახევარი საათი — ექვსიდან შვიდის ნახევრამდე...

— აუკ, მამი, კარგი რა, დღეში საათნახევარი რას მეყოფა, გეხვეწები რა, უკვე ვირტუალურ ქსელშიც ჩართული ვარ... და კიდევ ერთი საათი მაინც, რა, გთხოვ, მამი...

— ჯერ ასე იყოს, როგორც მე გეუბნები, მერე კი ენახოთ, და ძალიან გთხოვ, ვაჭრობას ნულარ დამიწყებ... ნესტან, სადილი თუ გაქვს მზად ჩვენთვის? წავედით, ვისადილოთ.

გეგამ უხალისოდ ისადილა, ასევე უხალისოდ ისწავლა გაკვეთილები, ინგლისურის დავალებებიც შეასრულა, მერე ერთხანს უაზროდ იბორიალა ოთახიდან ოთახში და ჩვეულებრივად აღრე დაწვა. დაწოლით კი დაწვა, მაგრამ თვალი არ მოუხუჭავს. როგორც კი დარწმუნდა, რომ დედამ და მამამ დაიძინეს, წამოდგა და ფეხაერეფით მიუახლოვდა კომპიუტერს. კლავიშს თითი დააჭირა. მოულოდნელად ეკრანზე ნისლივით რაღაც გამოჩნდა. ჯერ შეეშინდა, იფიქრა, ხომ არ გადაიწვა და კვამლი ხომ არ ასდისო, მაგრამ ნისლი სწრაფად გაიფანტა და საოცრად ლამაზი ქალიშვილი გამოჩნდა. გეგა დაიბნა, არცერთ პროგრამაში, არცერთ დისკეტაზე ასეთი გამოსახულება არ ყოფილა. მერე იფიქრა, ალბათ ქსელიდან არის რაღაც ჩართული. ქალიშვილმა გა-



ულმა. კი, ნამდვილად მას გაუღიმა, მერე რაღაც თქვა. არა, კი არ თქვა, აშკარად მას მიმართა, გეგას, მას უთხრა რაღაც. მაგრამ რა? რა ენახე? ეს არც ქართული იყო, არც რუსული და არც ინგლისური... ვერც ფრანგულს, ესპა-

უთოდ ბევრი თქვენგანი ცდის კალამს, ლექსებით, მოთხრობებით, ნახატებით აჭრელებს მათთვის, რა თუ ქართულის რვეულის ბოლო ფურცლებს, ზოგს კი ალბათ რამდენიმე ცალკე რვეულიც გავსებული აქვს ხაკუთარი თბზულებებით. სწორედ ასეთი ფაქცილები გვიხნდა თანაავტორებად მოიწვიეთ. ვთავაზობთ ნახევრად ფანტასტიკური მოთხრობის დახაწვებს, გააგრძელებთ და დაახრულებთ იგი. ფანტასტიკის განრი თავისთავად დიდ შემოქმედებით გასაქანს იძლევა. იმედი გვაქვს, რომ ხალხი თქვენ მოკვადებთ ბელს კალამს და ჩაერთვებით ჩვენს ლიტერატურულ კონკურსში.

საკუთესოდ მიხნეული მოთხრობა ფურნალ „ნაკადულში“ გამოქვეყნდება, ხოლო მისი ავტორი შესაბამისი პრიზით დაჯილდოვდება. სამაზხოვრო ხაჩუქტები ვლით ზხეა მოწონებულ ავტორებსაც.

საკუთესოდ კი ნაითვლება გამართული ქართული დაწერილი მოთხრობა, რომელშიც ფანტასტიკის ელემენტებიც კარგად იქნება გამოყენებული და ავტორის შემოქმედებითი პოტენციალიც გამოჩნდება.

ახლა თქვენ დიდი არდადეგები გეწეებათ, ესე იგი, ბევრი თავისუფალი დრო გექნებათ და მოთხრობის დახაწვრადაც მოიცლიათ.

ველით თქვენს ნაწარმოებებს.

ნურს, ან არაბულს მიაძგავსა ბიჭმა უცნაური ქალიშვილის ნათქვამი და მხრების აჩქვით ჩაილაპარაკა, ვერაფერი გავიგეო. იმ წამსვე ქალიშვილის გამოსახულება გაქრა, გეგამ იფიქრა, მგონი, დედაჩემი მართალია, გამოთაყვანა ამ კომპიუტერმა, რაღაცები მელანდება, წავალ დავიძინებო, და ის იყო, კომპიუტერის გამორთვა დააპირა, რომ დისპლეიზე კვლავ გამოჩნდა ქალიშვილი და ახლა უკვე ქართულად დაელაპარაკა:

— გამარჯობა!
— გაემარჯოს! — ბორძივით უპასუხა გაოგნებულმა ბიჭმა.

— იცი, ძლივს მოეძებნე შენი ენა... საინტერესო კი ყოფილა, ძალიან თავისებური, არცერთ თქვენს ენას არ ჰგვანებია... ისე, მაინც არ მესმის, რატომ ლაპარაკობთ მანდ, დედამიწაზე, სხვადასხვა ენაზე...

— მანდ, დედამიწაზე? — გაიკვირვა გეგამ — შენ, შენ რა, დედამიწელი არა ხარ?! აბა საიდან ხარ, საიდან მელაპარაკები?

ქალიშვილმა გაიღიმა.
— ჩემს პლანეტას ჰქვია...

ზოგორც გაგონეთ პოლიგლოტი

როგორც ამბობენ, დღეს დედამიწის ზურგზე 2976 ენაზე ლაპარაკობენ. ზოგიერთ ენაზე მილიონობით ადამიანი მეტყველებს, ზოგიერთზე — ერთეულები. ყველაზე მეტი ადამიანი ლაპარაკობს ჩინურ ენაზე, ინგლისურზე — 250 მილიონი, ჰინდისა და ურდუს ენაზე — 160 მილიონი. რუსული ენით 200 მილიონზე მეტი ადამიანი სარგებლობს.

არსებობს ცამეტი „დიდი ენა“, ამ ენებზე ლაპარაკობს დედამიწის მოსახლეობის ორმოცდაათი პროცენტი. დასახელებული ჩინურის, ინგლისურის, ჰინდისა და რუსულის გარდა, უნდა აღინიშნოს სხვებიც: ესპანურზე ლაპარაკობს 140 მილიონი, გერმანულზე — 100 მილიონი, იაპონურზე — 80-60 მილიონი, პორტუგალიურზე — 55 მილიონი, იტალიურზე — 55 მილიონი, არაბულზე — 50 მილიონი.

ზემოთ აღნიშნული 2976 ენიდან 1200 ამერიკელ ინდიელებზე მოდის, ისინი კი მხოლოდ 17,5 მილიონი არიან. არსებობენ ძალზე მცირერიცხოვანი ხალხები, რომელთაც თავიანთი ენა და დამწერლობა აქვთ. მაგალითად, კოლის ნახევარკუნძულზე ცხოვრობენ საამები. საამების რიცხვი სულ 1700-ია, მაგრამ მათ აქვთ თავიანთი ენა და დამწერლობა. ვინც ცამეტი „დიდი ენა“ იცის, იმას თეორიულად საშუალება აქვს დაელაპარაკოს ორ მილიარდ ადამიანს. მაგრამ ენის შესწავლისას მარტო მისი გავრცელების მასშტაბით არ უნდა ვიხელმძღვანელოთ, ყურადღება სხვა ფაქტორებად, უნდა მიექცეს. მაგალითად, ყველაზე მეტი წიგნი გამოდის რუსულ ენაზე. რუსულზევე გამოდის ყველაზე მეტი ტექნიკური ლიტე-

რატურა. ინგლისურ ენაზე ყოველდღიურად იმდენივე გაზეთი იბეჭდება, რამდენიც მსოფლიოს ყველა სხვა ენაზე ერთად. ყველაზე მეტი წიგნი ინგლისურიდან, შემდეგ რუსულიდან, ფრანგულიდან და გერმანულიდან ითარგმნება. ხოლო გეოგრაფიული გავრცელების თვალსაზრისით პირველი ადგილი ესპანურ ენას უჭირავს.

რომელი ენაა „მოდამი“? ამბობენ, ინგლისური და რუსული. წინანდელზე მეტად სწავლობენ ესპანურსა და აღმოსავლურ ენებს.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უპირველესად შესწავლილი უნდა იქნეს ძირითადი ენა, შემდეგ მასთან ახლოს მდგომი მონათესავე ენა. ცხადია, რაც უფრო მეტი ენა იცის ადამიანმა, მით უფრო იოლად ითვისებს ახალ ენას.

უცხო ენების შესწავლის ერთ-ერთი ენთუზიასტი ფილოლოგი ტ. აუერბახი მოგვითხრობს: ცნობილ გერმანელ არქეოლოგს ჰენრიხ შლიმანს თუ პირველი ორი უცხო ენის — ფრანგულისა და ინგლისურის შესასწავლად თითო წელიწადი დასჭირდა, შემდეგ ყოველ ახალ ენას რამდენიმე კვირაში, ზოგს კი რამდენიმე დღეში სწავლობდაო. როცა შლიმანი ვენესულისაკენ მიემგზავრებოდა, მამზურგში ორ მეგობარს უთხრა: კარაკასში რომ ჩავალ, ესპანურად მეცოდინება ლაპარაკიო. მართლაც, იმ მოგზაურობის დროს ესპანური შეისწავლა. ესპანური წიგნი ჰქონდა თან და ის დაეხმარა. ის წიგნი რამდენიმე ენაზე ზეპირად იცოდა. დაიწყებდა თუ არა ახალი ენის შესწავლას, შეადარებდა, სხვა ენებზე როგორ იყო ის ადგილი ნათარგმნი.

შლიმანმა თოთხმეტი ენა იცოდა.

ჭაბუკობის ჟამს შლიმანს ცუდი მესხიერება ჰქონდა, მაგრამ რაკი ძველი სამყაროს შესწავლა ჰქონდა მიზნად დასახული და საამისოდ მრავალი ენის ცოდნა იყო საჭირო, თავდაუზოგავი ვარჯიშით იმდენს მიაღწია, რომ ყოველდღე ზეპირად სწავლობდა ოც-ოც გვერდ პროზაულ ტექსტს, ასე

გამოიმუშავა ფენომენალური მესხიერება და ენების სწრაფ შესწავლაზე გადავიდა. მაგალითად, ექვს თვეში აითვისა უცხოელისათვის ფრიად ძნელად შესასწავლი რუსული ენა.

ცნობილია ბევრი ისეთი ადამიანი (მათ პოლიგლოტებს უწოდებენ), ათეულობით ენას რომ დაუფლებია. კარდინალმა მეცოფანტიმ (1774-1849 წწ) ასზე მეტი ენა იცოდა. 1961 წელს გერმანიაში გარდაიცვალა 132 ენის მცოდნე პროფესორი გეესტერმანი. დაახლოებით ამდენივე ენა იცოდა იტალიელმა პროფესორმა ტალიავანამ.

პარიზში კი ცხოვრობდა ვინმე გრიგოლ კოლპაკჩი. ამბობენ, რომ მან სრულყოფილად იცოდა ფრანგული, გერმანული, ესპანური, პორტუგალიური, იტალიური, ნორვეგიული, თურქული, იტალიური, რუსული, სერბიული, ბერძნული, ბასკური, ბერბერული და ბანტუს ენები; კითხვობდა ყველა ევროპულ ენაზე. ასევე ულექსიკონოდ ფლობდა ლათინურს, ძველბერძნულს, ჩინურს, იაპონურს, სპარსულს, არაბულს, ფინურს, ძველსირიულს, ძველევგვიპტურს, და წელიწადი არ გავიდოდა, ერთი ენა მაინც არ შეესწავლა.

— სულ რამდენი ენა იცით? — ჰკითხეს ერთხელ კოლპაკჩის.

— ზუსტად ვერ გეტყვით, — უპასუხა თურმე საოცარმა პოლიგლოტმა. იტყვიტ ალბათ, ეს ენებისადმი განსაკუთრებული მიდრეკილებააო. დიახ, მართალი ბრძანდებით! ასეთები მართლაც არიან და არ შეიძლება მოწინებით არ მოვიხსენიოთ ისინი, მაგრამ „ენებისადმი მიდრეკილება“ მარტო რჩეულთა ხვედრი როდია. ყველა ბავშვი იოლად, სწრაფად ითვისებს უცხო ენას. ენას სიყმაწვილის ჟამსაც წარმატებით სწავლობენ. ხოლო თუ მეთოდუკას ფლობ და მარჯვედ გამოიყენებ, ჭეშმარიტად საოცარი შედეგს მიაღწევ.

პოლიგლოტები ერთხმად ამტკიცებენ: „მთავარია, არ მოგერიდოთ! ენის შესწავლისას ეცადეთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეთ, თქვენი მზრი ასათვისებელ ენაზე გამოხატოთ.

მეორე პირობაა: იყავით უსაზღვროდ ცნობისმოყვარენი. ყველაფერი, ყველას, ყოველთვის აუცილებლად შესასწავლ ენაზე ჰკითხეთ. ეცადეთ, რაც შეიძლება მეტი ურთიერთობა გქონდეთ ენის მცოდნეებთან, იმათთან, ვისაც დახმარება შეუძლია.

და მესამე: იქნებ ეს უცნაურადაც კი მოგეჩვენოთ — რაც შეიძლება მეტი უსმინეთ მუსიკას, განივითარეთ სმენა, კარგი სმენა უცხო ენის შესწავლისას კარგი დამხმარეა.

ენის შესწავლის რამდენიმე მეთოდი იხმარება. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია პირდაპირი მეთოდი: მასწავლებელი იმეორებს სიტყვას, საგანზე იქამდე მიუთითებს, ვიდრე მოსწავლე არ დაიმახსოვრებს იმ სიტყვას. თუ ენის კანონებსაც შეისწავლით, ამ მეთოდით შეიძლება 200 საათში აითვისოთ ენა.

არსებობს კიდევ სხვა მეთოდი — ლინგოფონური, ანუ გრამფირფიტებითა და მაგნიტოფონის ჩანაწერებით სწავლა. ფირფიტებს თუ ფირებს ჩვეულებრივ თან ახლავს სახელმძღვანელო ტექსტი, სადაც ყველაფერი დანვრილებით არის ახსნილი: აქ შემსწავლელის შეუპოვრობა და სიბეჯითეა მთავარი.

ამჟამად ყველაზე გავრცელებულია დაჩქარებული მეთოდი. ეს მეთოდი არ მოითხოვს გრამატიკისა თუ ენის სტრუქტურის შესწავლას. მისი დანიშნულებაა შეასწავლოს კაცს ლაპარაკი, აიძულოს ილაპარაკოს. კვირაში მხოლოდ სამი საათი ხმარდება თეორიას. დანარჩენი დრო ლაპარაკს ეთმობა, აქედან მთავარი ყურადღება — სალაპარაკო ენას.

ლინგვისტებმა აღმოაჩინეს გასაოცარი კანონზომიერება — ყველაზე ხშირად ხმარებული ასი სიტყვა „ავსებს“ ზეპირი და ნერითი მეტყველების 20 პროცენტს, ხოლო დანარჩენი ათიათასობით სიტყვიდან, ერთის შეხვედრის ალბათობა 15 პროცენტზე ნაკლებია.

1911 წელს ელდრიჯმა ინგლისურის შემსწავლელი ამერიკელი მუშა-ემიგრანტებისათვის შეადგინა „6 ათასი ყველაზე მეტად ხმარებული სიტყვის“ ლექსიკონი. მას შემდეგ ბევრი მსგავსი ლექსიკონი გამოვიდა. დღეს მსოფლიოს 16 ენაზე 300 ასეთი ნიგნია.

ენაში ყველა სიტყვა თანაბარი სიხშირით არ იხმარება. მაგალითად, რაც უფრო მეტჯერ გვხვდება ესა თუ ის სიტყვა, მით უფრო ხმარებულია იგი, ან, მათემატიკოსთა ენით რომ ვთქვათ, უფრო მეტი „სიხშირისა“. ხმარების სიხშირის მიხედვით შედგენილ ლექსიკონებში სიტყვები ისეა განლაგებული, რომ პირველ ადგილზე ყველაზე ხშირად ხმარებული სიტყვაა, შემდეგ — უფრო ნაკლებად ხმარებული, მერე კიდევ უფრო ნაკლებად.

თურმე ყოველი ენის ყველა ტექსტი ძირითადად მცირედ რაოდენობის „ხშირი“ სიტყვებისაგან შედგება. გამოთვლილია, რომ ინგლისური ენის ყველაზე ხშირად ხმარებულ 500 სიტყვას ლიტერატურის 70 პროცენტი უჭირავს, 2000 სიტყვას — 80,5 პროცენტი, 2500 სიტყვას — 85 პროცენტი, 3000 სიტყვას — 90 პროცენტი, ხოლო 5000 სიტყვას — 93,5.

უცხოური ლიტერატურის შესწავლის პრაქტიკამ გვიჩვენა, თუ შესასწავლი ტექსტის სიტყვების 60 პროცენტზე ნაკლები იცით, ნაკითხულიდან აზრს ვერ გამოიტანთ, ვერ გაარჩევთ მთავარს მეორეხარისხოვნისაგან. 60-80 პროცენტის ცოდნა საშუალებას მოგცემთ თვალი ადევნოთ ავტორის მსჯელობას, ჩანვდეთ საერთო აზრს და გამოყოთ მთავარი, შემდგომ, ამ მთავარის თარგმნა უკვე ლექსიკონით შეიძლება. თუ სიტყვების 80-90 პროცენტი იცით, შეძლებთ უცხო ტექსტის მშობლიურზე კონსპექტირებას ლექსიკონის საშუალებით. ხოლო თუ ტექსტის 90-98 პროცენტი იცით, მაშინ პრაქტიკულად, დედაენასავით გცოდნიათ ის ენა.

ტექსტში იშვიათად ხმარებული, გაუგებარი სიტყვის მნი-

შენელობის მიხედვით იოლია. ასე, რომ დაახლოებით 5000 სიტყვისა თუ იდიომატური გამოთქმის ცოდნა ინგლისურ ენაზე თავისუფლად მეტყველებას შუალებას მოგცემთ.

უცხო ენის ათვისების თაობაზე ძალზე საინტერესოა ცნობილი რუსი ენათმეცნიერის აკადემიკოს ლ. შჩერბას მოსაზრებას. იგი გვირჩევს: გრამატიკის საფუძვლების შესწავლისა და ტექსტში ლექსიკონის დახმარებით გარკვევის შემდეგ, ბევრი კითხვაა საჭირო. უნდა იკითხოთ სათავგადასავლო ხასიათის ბელეტრისტიკა. კითხვის შესწავლა ძალზე ნელი ტემპით ნავა ნინ, მაგრამ უნდა ეცადოთ, მოუმატოთ კითხვის ტემპს. თუ ზუსტად და სრულად არ გესმით ტექსტი, არა უშავს — გაუგებარი ადგილები გამოტოვეთ. ლექსიკონში სულ უფრო იშვიათად უნდა ჩაიხედოთ და განივითაროთ კონტექსტის მიხედვით მიხვედრის უნარი. ასეთი კითხვის აზრი ის არის, რომ გონებაში მოგროვდება უცხო სიტყვათა მარაგი, შეიჩვევით სიტყვათა სახეცვლას. „ამასთან, — მიგვითითებს აკადემიკოსი შჩერბა — ცხადია, გამეორდება ენაში უფრო ხშირად ხმარებული სიტყვები. ამგვარად შეიჩვევა ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვანი. წარმატება ნაკითხულის რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული“.

ლინგვისტები ამტკიცებენ: თუ გინდათ იკითხოთ ნიგნები, ისწავლეთ იმ ენაში ყველაზე ხშირად ხმარებული ორი ათას ხუთასი სიტყვა და მისი გრამატიკა. ამ სიტყვების სიას სიხშირულ გრამატიკაში იპოვით.

ყოველივე ზემოთქმული ერთ რამეში გვარწმუნებს: უცხო ენის შესწავლისადმი გონიერი მიდგომით ყველას შეუძლია პოლიგლოტად იქცეს, დაწყებაა მხოლოდ ძნელი, მესამე ენას რომ ისწავლით, ნყალივით ნავა საქმეო, ამბობენ ამ საქმის მცოდნენი და კიდევ, მუდამ გახსოვდეთ ფრანგული ანდაზა: „თუ გინდა მჭედელი გახდე, უნდა ჭედო“.



სახლი

ზღაპრების ყონყონსი

უჩვეულო ფუსფუსი და გამოცოცხლება იყო იმ დღეს კინოთეატრ „სახიობაში“, სადაც ნაძალადევის რაიონის მოსწავლეთა სახლის ინიციატივითა და ძალისხმევით ზღაპრების რაიონული კონკურსი ტარდებოდა. კონკურსში რაიონის ათი საშუალო სკოლის და მოსწავლეთა სახლის ორი საბავშვო თეატრალური დასი მონაწილეობდა.

პატარა მსახიობებმა მთელი სული და გული ჩააქსოვეს საყვარელ ზღაპრებში.

კონკურსი მოსწავლეთა სახლის „ზღაპრების სამყარო“ გახსნა. 159-ე სკოლის მესამეკლასელებმა „ბატის ჭუკი“ წარმოადგინეს (პედაგოგი ელმის ტარტარაშვილი), 142-ე სკოლის მეორეკლასელებმა კი „მეკვლე თეკლე“ (პედაგოგი ნათელა მჭედლიშვილი); მე-15 სკოლის მესამეკლასელებმა (პედაგოგი ირმა აზმაიფარაშვილი) „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ აირჩიეს საკონკურსოდ, ხოლო 154-ე სკოლის მეორე კლასელებმა (პედაგოგი ნანა კაკაბაძე) – „მოცეკვავე ბაყაყი“, პედაგოგ სოფო კალატოზიშვილის აღსაზრდელები, 141-ე სკოლის მესამე კლასის მოსწავლეები „ობლის კვერთხი“ წარსდგინეს ჟიურისა და მაყურებლის წინაშე, მე-3 გიმნაზიის მეორეკლასელებმა (პედაგოგი ნანა წიქარაძე) კი „ყვავილების მეჯლისი“ წარმოადგინეს, 129-ე სკოლის მეოთხეკლასელებმა გოგო-ბიჭებმა (პედაგოგი ციური ხოფერაშვილი) „ფიფქია და მისი მეგობრები“ გააცოცხლეს სცენაზე მოსწავლეთა სახლის თეატრალურმა სტუდიამ (პედაგოგი დ. ყურულაშვილი) ჟიურის სამსჯავროზე „პაწაწინა დევები“ წარადგინა.

რაიონულ კონკურსში გამარჯვებულმა ხუთმა კოლექტივმა საქალაქო კონკურსში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ამ ხუთეულში შევიდნენ: მე-3 გიმნაზია, 141-ე სკოლა, 159-ე სკოლა, მე-15 სკოლა, ნაძალადევის რაიონის სახლის თეატრალური სტუდია.

ნინო ჩარაპიანი,

თბილისის მე-15 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე, ნაძალადევის რაიონის მოსწავლეთა სახლის ჟურნალისტთა წრის წევრი.

თათია მაქაცაშია

სენაკის მე-2 საშუალო
სკოლის III კლასის
მოსწავლე



კამლი

ბაღში ვარდი ამოსულა,
ძაღლიდან მზე დასწყერის,
გაშლილა და გატოვებია,
ნინო კრეტს და თან მღერის.

საახალწლო სურვილი

ვინ რა ისურვავ ახალ წელს:
მელამ – ქათმების სიმრავლე,
ფინომ – თავგების ბაზარი,
დათუჩამ – თაფლის ქილები
სავსე, თან უზარმაზარი.

ჩემი აბასთუმანი

მე ვცხოვრობ აბასთუმანში. ჩვენთან ლამაზი ბუნებაა. არის ძალიან ლამაზი ტყე. ზაფხულობით ტყეში დავდივართ სოკოს, მაცვლისა და ჟოლოს მოსაგროვად. ჩვენ გვაქვს კარგი ეზო. ახლახან გავაკეთეთ ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედანი. აბასთუმანში არის ეკლესია, რომელსაც პატარა ზარზმა ჰქვია. მე და ჩემი და ხშირად დავდივართ ეკლესიაში წირვაზე. აბასთუმანში არის ასტროფიზიკური ობსერვატორია, საბავშვო გზა და მრავალი შენობა. მე ძალიან მიყვარს აბასთუმანი.

თიონა ნათელაშვილი
აბასთუმნის საშუალო სკოლა, II კლასი.



ონი” და „ვერტმფრენი”. დაჭერისას ბევრი მათგანი იკბინება, მაგალითად „მლუნავი კალია”, „ვენახის კალია”, მათი ნაკბენი საკმაოდ მწარეა, იმიტომ, რომ მათ შხამი აქვთ, რომელსაც პირიდან უშვებენ. ფეხები ბუსუსებთან და მჭრელი აქვთ, შესანიშნავად იყენებენ ჩხუბის დროს. ყველა სახეობა უხერხემლოა. ზოგიერთს ხრტილები აქვს. მტაცებლებს მუცელი ძალზე რბილი აქვთ, ხოლო ბალახისმჭამელებს – ხრტილოვანი. კალიების უმეტესობა ჭრიჭინებს, ამ ხმას ისინი გამოსცემენ უკანა (გრძელი) ფეხების ფრთების ხრტილიან ნაწილებზე ხახუნით. თვალები გეომეტრიული ფორმის აქვთ.

ახლა კი ცალ-ცალკე დავახასიათებ ჩემ მიერ შესწავლილ კალიებს.

„ხმალა კალია” – მორუხო ფერისაა, აქვს ორი წველი მოკლე ფრთა, ამიტომაც ვერ ჭრიჭინებს, (კალიები ხომ უკანა ფეხზე ხახუნით გამოსცემენ ხმას, რადგან ფრთები მოკლე აქვს, ხმალა ვერ აწვდენს ფეხებს ფრთებს). სამაგიეროდ კარგად ზტის, იმიტომ, რომ უკანა ფეხები გრძელი აქვს. მისი სხეული ბოლოვდება მჭრელი კუდით, რომელიც ხმალს მოგვაგონებს. ამიტომაც შევარქვი ეს სახელი. ამ „ხმალს” ის ხშირად ლესავს ფეხებით და შხამით ასევეებს პირიდან. ეს კალია მტაცებულთა ჯგუფს მიეკუთვნება. იკვებება მწერებით, მაგრამ არც თავის თანამომეებზე ამბობს უარს. მისი მოძრაობა „ხმალი” ყველა მხარეს იხრება და ჩხუბის დროს იარაღად ხმარობს, ცდილობს მოწინააღმდეგეს მუცელით აძგეროს, ფეხებიც მჭრელი აქვს და იარაღად იყენებს, ამ სახეობის კალიებს აქვთ „ანტენები”, რომლითაც, როგორც დავაკვირე, ერთმანეთთან და გარემოსთან ამყარებენ კავშირს.

სხვა კალიებისაგან განსხვავდება მეტი გონიერებით. ამ სახეობის კალია განსაკუთრებით მიყვარს, ვუფრთხილდებოდი, რომ არ გამქცეოდა, „ხმალამ” თავის მომკვდარუნება იცის. როგორც კი თვალს მოაშორებ, მაშინვე გამოცოცხლდება და გაიქცევა. სხვა კალიებისაგან „სისუფთავითაც” განსხვავდება. ხშირად იბანს და ისუფთავებს კუდს და ფეხებს – ამით ის კატას მაგონებს. თავისი ხმალა კუდით ქვეშავე კვალს ტოვებს.

„ქამელონი კალია” – საკმაოდ გრძელი კალიაა. უყვარს მალალ ბალახში ბინადრობა. არ არის მტაცებელი. აქვს დიდი, გამჭვირვალე ფრთები და შორს დაფრინავს. ფრენის დროს ჭრიალივით ხმას გამოსცემს, დაჯდომისას კი არ ჯდება, თითქოს ებერტყება, ეს სახელი მას იმიტომ შევარქვი, რომ იმის მიხედვით, თუ სად ცხოვრობს, ფერს იცვლის, აქვს გრძელი თავი. ამ ჯიშს მიეკუთვნება შედარებით პატარა კალია, რომელიც შორს ვერ დაფრინავს და ძალიან საყვარელია, ფრენისას ურემივით ჭრიალა ხმას გამოსცემს. დაჯდომისას ფრთებს კეცავს და ფაქიზად ინახავს, რომ არ დაეხეს. მუცელიც მტაცებლებისაგან განსხვავებით, ხრტილიანი, მაგარი აქვს. კალიების ეს ჯიში არ ჩხუბობს, მაგრამ საოცარია ის, რომ მტა-

ცვლი კალიები მათ არ ერჩიან, თუაფიცი გეომეტრიული ფორმისა და ისეთი მაგარი აქვთ, რომ პასტის წვერითაც ვერ დაუხიანებ. ეს კალიები შხამიანები არ არიან. „მოკრივე კალია” უფროთა, პატარაა, შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება. სხვა კალიებისაგან განსხვავებით ყვითელი და რბილი მუცელი აქვს. იკვებება მწერებით, კარგი მონახუბარია, სახელიც ამიტომ შევარქვი. ჩხუბისას წინა ფეხებს ყელში სტაცებს მოწინააღმდეგეს, უკანას კი მოკრივესავე ურტყამს მანამ, სანამ მუცელს არ გაუხერხებს.

„მლუნავი კალია” – მტაცებელია, მოთეთრო-მონაცრისფროა, ძალიან მოხერხებულია, აქვს პატარა თავი და დიდი პირი, საკბილოს სწრაფად მიირთმევს, საშინლად იკბინება. ფრთები კი აქვს, მაგრამ მაინცდამაინც არ ხმარობს, ზტუნვა ურჩენია. ყველაზე საძაგელი კალიაა, დაჭერისას იკბინება.

„ქვიშის კალია” – ცხოვრობს ქვიშნარ ადგილას, აქვს ლურჯი ფრთები და ლურჯი ფეხები. დამაინფუხა მეოქვა, რომ ყველა კალიას იმ ფერის ფეხები აქვს, რა ფერისაც – ფრთები. დაფრინავს ძალიან დიდზე მტაცებელია. არის ქვიშისფერი, რადგანაც ქვიშაში ბინადრობს. ტყვეობისას სხვა კალიებივით არაქათი კი არ ეცლება, არამედ გაღიზიანებულს ენერგია ემატება. ამ კალიას სხვა კალიებისაგან განსხვავებით წყლიდან ამოხტომაც შეუძლია. ჩხუბი მაინცდამაინც არ ეხერხება.

„ვენახის კალია” – ბინადრობს ვენახში. სხვა კალიებისაგან იმით განსხვავდება, რომ წინა ფეხები გრძელი აქვს, უკანა კი მოკლე, ამიტომაც კი არ დაზტის, არამედ დარბის. ისიც ყველა მიმართულებით ამოძრავებს თავის კუდს, „ვენახის კალიის” დაჭერას ვერ იტანს იმიტომ, რომ შესახედავად საზარელია და ამასთანავე ძალიან შხამიანია. მისი ნაკბენი ძალიან მტკივნეულია. განსაკუთრებით მრავლად გვხვდება ისინი რთველის პერიოდში.

„წითელი კალია” – საოცრად ლამაზია. გვხვდება ღია წითელი და მუქი შინდისფერი სახეობა. ცხოვრობს სილიან ადგილებში. ჭამს ბალახეულსა და მგონი მწერებსაც.

„თვითმფრინავი” – უფრო თვითმფრინავს ჰგავს ვიდრე კალიას. აქვს ორი წველი გრძელი სწორი ფრთა. ძალიან სწრაფად დაფრინავს და საოცრად ლამაზია. გვხვდება მწვანე და ლურჯი ფერის. არის დაახლოებით 3-10 სმ-ის სიგრძისა.

კიდევ მრავალი სხვა კალია არსებობს, მე მათ ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ მაინტერესებს და ისე მომიწონა კალიები, რომ მომავალშიც შევისწავლი მათ.

პატარაობიდანვე დავინტერესდი კალიებით. რომ გაეინარდე, მათ შესახებ წიგნებში და ჟურნალებში ბევრი რამ წაიკითხე, დედაც მეხმარება. გასულ ზაფხულს ვისვენებდი რაჭაში, სოფ. სადგელში. ავიყოლიე ჩემი ბიძაშვილები და მთელი ზაფხულის მანძილზე მინდროში, ვენახში თუ ყანაში სხვადასხვა სახეობის კალიებს და კუტკალიებს ვიჭერდით, მოვათავსებდით რაიმე ჭურჭელში ჯერ ერთად, შემდეგ კი ცალ-ცალკე, ვუყრიდით საკვებსაც და თან ვაკვირდებოდით, რომელი სახეობა რასა ჭამდა, რითი განსხვავდებოდა სხვებისაგან და ა.შ. მე შევისწავლე კალიების სხვადასვა ჯიშები: „ხმალა კალია”, „ქამელონის კალია”, „მლუნავი კალია”, „მოკრივე კალია”, „ქვიშის კალია”, „ვენახის კალია”, „წითელი კალია”, „ვერტმფრენი კალია” და სხვა. კალიების უმეტესობას აქვს 2 წველი ფრთა, ან საერთოდ უფრთოები არიან. უკანა ფეხები წინაზე გრძელი აქვთ, ამიტომაც კარგად დაზტინან. წყალში ჩავარდნისას მშვენიერად ცურავენ, მაგრამ წყლიდან ამოძრომას ვერ ახერხებენ გარდა ერთი ჯიშისა, რომელსაც „ქვიშის კალია” დავარქვი. კალიების ზოგი სახეობა მტაცებელია, იკვებება მწერებით და არც თავის თანამომეებზე ამბობს უარს. მეორე სახეობის კალიები კი მხოლოდ მცენარეული საკვებით იკვებებიან. ამ ჯიშის კალიებს დიდი ზიანი მოაქვთ სოფლის მეურნეობაში. მრავლდებიან ადრე გაზაფხულზე – კვერცხებით. იჩეკებიან მატლები, ჭურჭრდებიან და თანადათანობით კალიებად იქცევიან. პატარა ჭურჭრები თხილის თეთრ მატლებს ჰგვანან და ისე სწრაფად დარბიან, რომ ვერ დაიჭერ. საინტერესოა ის, რომ მათ არც ფეხები ეტყობათ და არც თვალები. ტყვეობაში დაახლოებით 2 კვირას სძლებენ. უმეტესობა სუსტდება ხოლმე, განსხვავებულად იქცევა ტყვეობაში ე.წ. „ქვიშის კალია”, რომელსაც პირიქით, ენერგია ემატება და ყველანაირად ცდილობს გაქცევას. როგორც შევარტყვე, კალიები წყალს არ სვამენ.

კალიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო ხასიათით, არამედ გარეგნობითაც. ზოგი პატარაა, დაახლოებით 3 სმ-ის სიგრძის, მაგ. „მოკრივე კალია”, ზოგი კი 10 სმ-ის სიგრძისაა, მაგ. „ვერტმფრენი კალია”. ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფერითაც. არსებობს მწვანე, რუხი, წითელი, თეთრი, ნაცრისფერი კალიები. უმეტესობას აქვს თეთრი მუცელი. „მოკრივე კალიას” კი – ყვითელი. კალიების უმეტესობა დაზტის და დაფრინავს. განსაკუთრებით კარგად დაფრინავს „ქვიშის კალია”, „პატარა ქამელ-

სალწმი ჰანაელიძე,
თბილისის უცხო ენათა
გაძლიერებული სწავლების
დამოუკიდებელი ხაზი. სკოლის III
კლასის მოსწავლე.


???

ყოველი წლის შემოდგომაზე, ოქტომბერში ან ნოემბერში (თარიღი დამოკიდებულია მთვარის კალენდარზე) ინდოეთის რაჯასთჰანის შტატის პატარა ქალაქ პუშპარში 300 ათასამდე ადამიანი და 30 ათასამდე აქლემი იყრის თავს. საზეიმო ტანსაცმელში გამონყობილი ქალები და კაცები, სხვადასხვა ტომის მომთაბარენი და მექარავნეები, ძვირფასი სამკაულებით მორთული აქლემები, მოჟრიაშულე ბავშვები, ხალხური მუსიკის ჰანგები — ასეთი ხალისიანი და კეთილგანწყობილი ატმოსფერო სუფევს ბაზრობაზე. მაგრამ აქ, მარტო აქლემებით როდი ვაჭრობენ. მამაკაცები ათას რამეზე ბჭობენ, საუბრობენ მიწისა თუ პირუტყვის ფასებზე, ხშირად კი შვილების დაქორწინების საკითხსაც წყვეტენ. ქალები უფრო საოჯახო ნივთებისა და სამკაულის შეძენაზე ზრუნავენ. ბავშვები კი ისე, როგორც ყველგან, კარუსელებსა და საქანელებზე ერთობიან და ბევრ, ძალიან ბევრ ნაყინს მიირთმევენ.



???

მონდუნდი და ნუნდნი...



ინაპლით ფინის სწორად დადგმა

შეიძლება ძალიან ლამაზიც იყოს, ტან-ფეხიც მშვენიერი გქონდეთ, გემოვნებითაც გეცვათ, მაგრამ უმხო, უხეირო სიარულმა ყველაფერს ხაზი გადაუსვას. ალბათ თქვენი უძრავლესობა სხვების ულაამზო სიარულს უფრო ამჩნევს, ვიდრე საკუთარს. იცით კი, როგორია ლამაზი სიარული? აი, როგორი უნდა იყოს მოხდენილი სიარული – ტერფი უნდა დაადგათ პირდაპირ და არა ბმურდზე, განზე. მიწას ჯერ ქუსლი უნდა შეეხოს, ამასთან მუხლი გამართული უნდა იყოს, ნაბიჯი – არც დიდი არც პატარა, ზურგი – გამართული, თავი აწეული, იდაყვებში ოდნავ მოხრილი. რომ იცოდეთ, ლამაზი სიარულის ერთ-ერთი უპირველესი მტერი, ცალ მხარზე გადაკიდებული გრძელთასმინი მძიმე ჩანთაა. ეს მოდა ნებისმიერ კენარ ტანს ამახინჯებს – ცალი მხარი უფრო მაღალია, მეორე – უფრო დაბალი. მძიმე ჩანთის თუ სხვა რამ სიმძიმეების ტარებას საერთოდ არ გირჩევთ, ხოლო თუ მაინც გიწევთ სიმძიმის ტარება, ეცადეთ, ორივე ხელზე თანაბრად გაანაწილოთ იგი. ტანადობისა და მიხვრა-მოხვრისთვის მისწრებაა მოლაში შემოსული სასკოლო ზურგჩანთები და დაბალქუსლიანი სპორტული ფეხსაცმელი. საერთოდ, თუ მიაქციეთ ყურადღება, დღეს მოლაშია, განსაკუთრებით მოზარდებისათვის, სეირნობისთვის, სპორტისთვის, მოძრაობისთვის, ფე-

ხით სიარულისთვის მოხერხებული ჩასაცმელ-დასახური. ეს იმიტომ, რომ მოლაშია ჯანმრთელობა. დიახ, დიახ, არა ფერმერთალი, მისავათებული, ნიკოტინით გაჟღენთილი, არამედ გარუჯული, მოხდენილი, ხალისიანი გოგონები. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მკვეთრად ეცემა ინტერესი სიგარეტებისადმი, შესაბამისად იზრდება სწრაფვა სპორტისკენ, ტურისტისკენ, სწორი კვებისკენ. თვითონაც გაიცნობიერეთ ეს და თქვენს მეგობრებსაც გააგებინეთ. სპორტსა და მოძრაობაზე რომ ვლაპარაკობთ, პირველ რიგში, ჩქარი ნაბიჯით სეირნობას ვგულისხმობთ, იმიტომ, რომ სწორედ ასეთი გასეირნებაა უძრავლესობისთვის ხელმისაწვდომი სპორტის სახეობა. სეირნობა საუკეთესო მოთელვაა ხანგრძლივი დღის წინ – თქვენ ზომ ძირითადად სკოლაში მერხს უზიხართ, ან შინ გაკეთილებს ამზადებთ. სეირნობისას

მუშაობს ყველა კუნთი, ნიადაგს ფილტვები, უძვობესდება სისხლის მიმოქცევა და კიდევ – სეირნობა შესანიშნავად მოქმედებს თქვენს კანზე. დიახ, ვარჯიში, მოძრაობა, სუფთა კვება, და არა ნაირ-ნაირი მაკიაჟი გაგალამაზებთ და გაგაკობტავებთ.


რაკილა სწორ კვებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, გვინდა ბარემ ამ საკითხზეც გესაუბროთ. ეჭვი არ გვეპარება, რომ უძრავლესობის საზრუნავი წონაა, ბევრი თქვენგანი კი დიეტასაც იცავს. გვინდა, ამთავითვე გითხრათ, ხანმოკლე დიეტებს გოგონებისთვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. ყოველმა თქვენგანმა ინდივიდუალურად უნდა გამოიმუშაოს კვების საკუთარი სტილი, მუშაობის საკუთარი სტილი, რომლის დროსაც არანაირ ასაკში არ დაგიგროვდებათ ზედმეტი კილოგრამები, ან თუ უკვე დაგროვილი გაქვთ, ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლდებით მათგან.

ერთი რამ დაიმახსოვრეთ – პირველი: უნდა ჭამოთ ცოტ-ცოტა და ხშირად, დღეში 5-6 ჯერ, ყოველ თქვენს საუზმეში, სადილში, სამხარსა თუ ვახშამში აუცილებლად უნდა იყოს ვიტამინები – ბოსტნეული, მწვანილი, ხილი, წვენიები, სალათები. ასევე სასარგებლოა: შავი პური, შერიის ფაფა, კარაქი, არაჟანი, წიწიბურას ფაფა, თევზი, ღვიძლი... მეორე: უარი თქვით ცხმიან სოუსებზე, ტორტებზე, შოკოლადებზე, შებოლილ პროდუქტებზე.




ეს ვარჯიშები ტანის გამართვაში დაგეხმარებათ

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, კოლეჯი და ლიცეუმი ახსადგენ მიღებას 2002-2003 სასწავლო წლისათვის



უნივერსიტეტში არის დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების, მართული და რუსული სექტორის შვიდგზი სპეციალოზები



უნივერსიტეტში:

1. ადმინისტრაციული საქმის ორგანიზაცია (სახელმწფ. მოხელე); 2. დაწესებითი განათლების მეთოდოლოგია და პედაგოგია (პედაგოგი); 3. ვაჭრობის ეკონომიკა (ვაჭრობის ეკონომისტი); 4. მენეჯმენტი (მენეჯერი); 5. საბანკო საქმე (ფინანსისტი); 6. საგადასახადო-საბაჟო საქმე (საგად. ინსპექტორი, მებაჟე); 7. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთ. (ეკონომისტი); 8. საბუღალტრო – საფინანსო კონტროლი, ანალიზი, აუდიტი (ბუღალტერ-აუდიტორი); 9. სამართალმცოდნეობა (იურისტი); 10. სამედიცინო ფსიქ. (ფსიქო-თერაპევტი); 11. ჟურნალისტი (ჟურნალისტი); 12. ტელეჟურნალისტი; 13. ტელერადიოკომენტატორი; 14. ტანსაცმლის მოდელირება და კონსტრუირება (მოდელიორ-კონსტრუქტორი); 15. უცხო ენები. ინგლისური, გერმანული (პედაგოგი, მთარგმნელ-რეფერენტი).



უნივერსიტეტთან არსებული კოლეჯი:

1. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურ. რაციონალური გამოყენება; 2. საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, ანალიზი და კონტროლი; 3. სოციალური უზრუნველყოფის სამართალი და ორგა-

ნიზაცია; 4. პროდუქტების ხარისხის კონტროლი და სტანდარტიზაცია; 5. უცხო ენები დაწესებით კლასებში (ინგლ. გერმ.);

უნივერსიტეტთან არსებული ლიცეუმი:

1. პუმანიტარული. 2. ტექნიკური

კოლეჯსა და სკოლა-ლიცეუმში მიიღებიან 9 კლასდამთავრებული მოსწავლეები. კოლეჯის კურსდამთავრებული ჩაირიცხება შესაბამისი ფაკულტეტის მე-2 კურსზე.

დიპლომი სახელმწიფოა.

სწავლის პერიოდში ვაჟები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურისგან.

ერცულდება შეღავათები: და-ძმაზე, ცოლ-ქმარზე, ჯარგამოვილილზე, ლტოლვილებზე, ოთხ და მეტ დედამამიშვილიან სტუდენტებზე, ობლებზე, სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოსული სტუდენტები გადაიხდიან ამ ორი სასწავლებლის გადასახადის მინიმუმს. უნივერსიტეტში წარმოებს კომპიუტერისა და უცხო ენების უფასო სწავლება, ხოლო პროგრამისტები შეღავათიან ფასებში დებულობენ სერთიფიკატს.

უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია ურეკის დასასვენებელი სახლის მომსახურება მესამედ ფასში. სტუდენტები ეუფლებიან ორთაბრძოლის ხელოვნებას (უფასოდ).

ვაჟ-ფშაველას 83-11-ში მე-4 სართულზე, სტომატოლოგ ნესტან ბერაიასთან უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები იმკურნალებენ და სხვა სამკურნალო პროცედურებს ჩაიტარებენ ნახევარ ფასში, ლაგუნა ვერეს აუზით ისარგებლებენ მაისიდან აგვისტოს ჩათვლით შეღავათიან ფასებში.

უნივერსიტეტში შერჩეულია საუკეთესო პროფესორა. ფილიალი გახსნილია ხაშურში.

წარჩინებული სტუდენტებისთვის დაწესებულია სტიპენდია 50 ლარამდე. ფრიადოსანს შეუძლია სწავლა გააგრძელოს ასპირანტურაში და სტაჟირება გაიაროს უცხოეთში (მათ შორის ლონდონის ერთ-ერთ პრესტიჟულ სასწავლებელში), ეძლევა შესაძლებლობა მუშაობა გააგრძელოს ამავე უნივერსიტეტის შესაბამის კათედრაზე.

ყოველწლიურად ტარდება პროფესორ-მასწავლებელთა სესია და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. იბეჭდება თეზისები. ანგარიშსწორება შესაძლებელია როგორც ადგილზე, ისე გადარიცხვით.



საბუთები: ატესტატი (ან დიპლომი) დედანი, 4 ფოტოსურათი, ცნობა საცხოვრ. ადგილიდან, ვაჟებისთვის სამხედრო მიწერის მოწმობა. გამოცდა-გასაუბრება ჩატარდება 25-26 ივლისს, 29-30 აგვისტოს.

რექტორი: პროფესორი, საქართველოს ეროვნული და სოციალური ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი აკადემიკოსი **ამირან მექვაბიშვილი.**

მის: ქ.თბილისი, კოსტავას ქ. 47, ფილარმონიასთან (სახოგადოება „ცოდნა“, ტექ. ბიბლიოთეკის გვერდზე). ოთახები: 303, 305, 306; საბუთები მიიღება ყოველდღე. გარდა კვირისა, 10 საათიდან 17 საათამდე.

ტელ: 93 66 03; 99 62 71; 38 28 34; 96 46 43; 8(99) 18-89-24;



**რატომ აშკნ
ფეხბურთის მსაჯს
სასტვენნი**



1878 წლამდე ფეხბურთის მსაჯი ასე კი არ დარბოდა მოედანზე, როგორც ახლა, არამედ ტრიბუნაზე, სავარძელში იჯდა და ისე ადევნებდა თვალს თამაშს. მაგრამ იქიდან ყოველთვის როდი შეიძლებოდა წესების დარღვევის შემჩნევა, ამიტომაც გადაწყდა, არბიტრები დაბლა ჩამოეყვანათ. სწორედ მაშინ მოხდა პრეცედენტი, რომელმაც მსაჯობაში სიასხლე შეიტანა. ერთ-ერთი მატჩის დროს, რომელსაც პოლისმენი მსაჯობდა, მოედანზე ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. მოჩხუბარ მოთამაშეებს ვერაფერი რომ ვერ გააგონა, პოლიციელმა მსაჯმა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა გაიხსენა, სასტვენნი მოიმარჯვა და ერთი ისეთი ჩასტვინა, რომ მოულოდნელობისაგან გაოგნებულმა ფეხბურთელებმა უძალ შეწყვიტეს ჩხუბი. სწორედ ამის შემდეგ შეიარაღდნენ ფეხბურთის მსაჯები სასტვენებით.

ქარის წისქვილების ქნა

ქარის წისქვილებთან ბევრი საინტერესო რამ არის დაკავშირებული. მაგალითად, პოლანდიაში წისქვილებს ლაპარაკი ასწავლეს და წისქვილების ენის ცნობარიც კი გამოსცეს. წისქვილის ფრთების ყოველ განლაგება-მდებარეობას თავისი მნიშვნელობა აქვს. თუ პატრონმა ფრთები X-ის სახით დააყენა, ეს იმას ნიშნავს, რომ მის სახლში სიხარულია. თუ ამასთან ფრთაზე წითელი ნიშანიც არის, ყველა მიხვდება, რომ ოჯახში ბიჭი დაბადებულა, ხოლო თუ ნიშანი ცისფერია, - ქალიშვილი თხოვდება. თუ ფრთები ჯვრისებურად არის განლაგებული და ზედა ფრთაზე მწვანე ნიშანია, ყველა მიხვდება, რომ წისქვილი დროებით არ მუშაობს. ესპანელებთან ომის დროს წისქვილის ფრთების მეშვეობით გადასცემდნენ სარდლის ბრძანებებს და ცნობებს მტრის გადაადგილების შესახებ.

ქარის წისქვილები მეორე მსოფლიო ომშიც „მონაწილეობდნენ“. მათი საშუალებით წინასწარ შეთანხმებული სისტემის მეშვეობით მოკავშირეებს საჭირო შეტყობინებებს გადასცემდნენ.

ოკუპანტებმა იცოდნენ ეს და ამიტომაც წვადნენ მოქმედ წისქვილებს, მაგრამ გლეხები მაღავედნენ, რომ წისქვილები გამართული იყო და მაინც ახერხებდნენ მათ გადამცემებად გამოყენებას.

ამერიკული ქნა



ასეთი ენა არ არსებობს. შეერთებული შტატების მოქალაქეები ინგლისურ ენაზე ლაპარაკობენ, და მაინც ზოგიერთი ინგლისელი ფილოლოგი სხვა აზრისაა.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებში ევროპიდან და დედამიწის სხვა ადგილებიდან თავის დროზე მილიონობით ადამიანი გადასახლდა. მათ დიდ უმრავლესობას ინგლისელები წარმოადგენდნენ და ამიტომ იქ ინგლისური ენა გაბატონდა. მაგრამ სხვა ერების წარმომადგენლებმა ამერიკელთა ინგლისურ ენაში რაღაც თავიანთიცი შეიტანეს, რამაც დროთა განმავლობაში ფეხი მოიკიდა და დაკანონდა. ამის შედეგად შეიქმნა ინგლისური ენის თავისებური ვარიანტი. ოცდაათი წლის წინათ განსხვავებული სიტყვების რაოდენობა სულ სამასს აღწევდა. ეს ნორმალურად ითვლებოდა და არავინ ტყუილად განგაშს. ახლა კი განსხვავება გაცილებით მეტია. „გაფრთხილდით - აცხადებენ ინგლისელი ფილოლოგები, - რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ინგლისურ და ამერიკულ ენებს შორის ისეთი განსხვავება იქნება, რომ ამერიკელი ბრიტანულ გაზეთს ულექსიონოდ ვერ წაივითხავს“.


აბა სცადე!

კენიის ქალაქ ნაირობში უამრავ ტურისტს იზიდავს ქვეწარმავალთა პარკი. პარკში, ვეებერთელა ნიანგების აუხთან, ასეთი განცხადებაა გაკრული:

„კატეგორიულად აკრძალულია აუხში რაიმეს ჩაგდება. ამ წესის დამრღვევს თვითონ მოუწევს წვალში ჩაგდებული საგნის ამოღება“. ბიჭი ხარ და სცადე ნიანგებით მოფუთფუთე აუხში ფეხის ჩაყოფა...

როგორ გაჩნდა გოლფსტრიმი რუკაზი


ერთხელ ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი ბენჯამინ ფრანკლინი დააინტერესა იმ ფაქტმა, რომ ინგლისსა და მის კოლონიებს შორის მოცურავე საფოსტო გემები უფრო სწრაფად სერავენ ოკეანეს, როცა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ უჭირავთ კურსი. ფრანკლინმა გულმოდგინედ შეისწავლა სავახტო ფურნალების მონაცემები, საზღვაო რუკები, რის შემდეგაც შეადგინა მანამდე უცნობი დინების რუკა. ამ დინებას მან გოლფსტრიმი უწოდა.



- ხუთი ზლოტი რომ მქონდეს, კინოში წავიდოდი, ან შემიძლია შვიდი ძმაკაცი მოვიყვანო.




- დედა, ეგ მე არა ვარ, შენ იურეკ მალინოვსკის აბანავებ.




საქორწილო ცერემონიალზე.
- მამა!




მომთვინიერებელი: - თავიდან სკოლის მასწავლებელი ვიყავი, მაგრამ ვიგრძენი, რომ უფრო მშვიდი სამუშაო უნდა მომეძებნა.



იქილთ-მიქილთ




დაეხმახეთ საკუთარ
ხედში გახდით
ჰიტონს



შვებულად: 1. სამულო სიმაღლის ან მაღალი ხე, ისხამს წვრილკურვიან მოტკბო ნაყოფს. 2. მცენარე, რომელიც ყვავის მხოლოდ ერთხელ და ნაყოფის მომწიფების შემდეგ კვდება. 5. მატყლის შემცველი ხელოვნური ბოჭკო. 6. გულუბრველო, მიაპიტი ქალის როლის შემსრულებელი მსახიობის ამბლუა. 7. მაღაზიის დიდი ფანჯარა, სადაც გამოფენილია გასაყიდი საქონლის ნიმუშები. 8. ინგლის-საფრანგეთისა და მეფის რუსეთის იმპერიალისტური ბლოკი. 11. მთა ყვარლის რაიონში. 12. „სალეთო რომის იმპერიის“ იმპერატორი (912-973). 13. ბატონის ხელქვეითი. 17. სხვადასხვა ფორმის პატარ-პატარა ფიცრებით დაგებული იატაკი. 18. რუსი მწერალი. 21. პურეულის მოსავლის აღება. 25. თამასუქი. 26. სახსრების დაავადება. 27. ჰომეროსის პოემის გმირი, ოდისევსის მეგობარი. 28. ივივეა, რაც მღვდელმთავარი. 31. ძველად შუა აზიაში: მდიდარი შესაქონლე, მიწათმფლობელი ან ვაჭარი. 32. რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, აღნიშნავს სიტყვხელუსთან დაკავშირებულს. 33. რუსი პოეტის ახმატოვას სახელი. 37. ზღვაში ან ტბაში შეჭრილი მდინარის შესართავი. 38. ფოლადის ნაკერი, რომლითაც ტალზე ჩამოყვრით ცეცხლს აჩენენ.

თარაზულად: 3. ყორნისებრთა ოჯახის მოძვრო ფრინველი. 4. დაბა საეკტ-პეტერბურგის ოლქში. 9. სოფელი მცხეთის რაიონში. 10. მისტიკური მოძღვრების მიხედვით: უდიდესი ნეტარება, რომელსაც აღწევენ ადამიანური ზრუნვისა და მისწრაფებითაგან გათავისუფლებით. 14. მდინარე პოლონეთში, ოდერის მარცხ. შენაკადი. 15. რკალითა და ორი რადიუსით შემოსაზღვრული წრის ნაწილი. 16. თმის საღებავი. 19. ადამიანის, ცხოველის ან მცენარის დასნებოვნება ცხოველური პარაზიტებით. 20. ახლო მონათესავე მცენარეთა შეჯვარება. 22. საგანგებოდ გამართული ყუთი ფუტკრი-ხათვის. 23. მდინარე ვოლგის მარჯვ. შენაკადი. 24. მარცვლოვანთა ოჯახის მრავალწლიანი ბალახი. 29. სწორხაზოვანი მონაკვეთი, რომელსაც გარკვეული მდგომარეობა და მიმართულება აქვს. 30. პატარა სახლვანო თევზსაჭერი გემი. 34. სპოროვანი მცენარე. 35. მსახიობი, ანუ... 36. მწვანე სუნის უფერო შხამიანი გავი, რომელიც შედგება აზოტისა და ნახშირბადისაგან. 39. ძველ რომში: არასრულყოფილებიანი მოქალაქე, რომელიც უფლებრივად დამოუკიდებელი იყო თავის მფარველზე. 40. კრავის, ბატონის მატყლი. 41. ხის ან ბუჩქის გამონახარდი ტოტი. 42. მდინარე სუენჯის მარჯვ. შენაკადი, საქართველოსა და ჩეჩნეთ ინგუშეთის საზღვარზე.

შეადგინა ზინაიდა ლოჰაზანიძე



ისე გადაწყეთ 4
სახნთის ღეხი,
რომ 4 ეხონაიხი
სამკეთხედი
მიილოთ

ნო 391/2
„ნაკადულის“ პინდისაჲ

თამუნა ჩაჩუა ორ კვირაში ექვსი წლის გახდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სექტემბერში სკოლის კარს შეადგებს და როგორც თავად ამბობს, სულ ხუთიანებზე ისწავლის. შეიძლება მერე ჯიუტობას, ჯიბრბანობას გადაეწვიოს, თვითონ კი დიდი იმედი აქვს, რომ გამოსწორდება და ვნახოთ...

თამუნა მშვენივრად ქარგავს, პიანინოზეც უკრავს, მაგრამ ვეველაზე ძალიან ხატვა უყვარს, სულ ხატავს. ნებისმიერ ნახატს კი ცის და ვარსკვლავების ხატვით იწყებს. რომ ეკითხებიან, რატომო, მხრებს იწეხს, თვითონაც არ იცის და როგორ უპასუხოს. გივი პაპა ვეველაფერს უწონებს – დაქარგულსაც, პიანინოზე დაკრულსაც და დახატულსაც, ალბათ ამიტომ ვეველაფერს პირველად ჯერ მას აჩვენებს ხოლმე, მერე კი მისი შექმებით ფრთაშეხმული ახლა სხვებს გააცნობს ხოლმე მორიგ ნახატსა თუ ნაქარგს.



ჭიანჭველაჭამია



წვიმა



ვერიკო



მზე და გოგონა



გოგონა



**5 წლის ნინო
 მუკაელიშვილი**